ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 1 ნოემბერი, 2022 №215 (8993) ფასი: 80 თეთრი




ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მეზობელმა მეზობელს სანადირო თოფიდან ესროლა

რუსთავში ეკლესიასთან მგელმა ქალი დაგლიჯა




# „მელია მეცოდება, სათქმელი აღარაფერი დარჩა“




პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნების“ ბედი უკრაინის ხელშია“



„სულ რომ არაფერი არ თქვას გახარიამ, სულ რომ ხმა არ ამოიღოს და არჩევნების დროს მისი ნომერი იყოს ბიულეტენში, ხალხი დადუმებულ გახარიასაც კი მისცემს ხმას და დადუმებული გახარიაც კი გადალახავს 5%-ს, იმდენად მიუღებელია ბევრისთვის „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც“

## „მურუსიძე-გვრიტიშვილის დაბრუნებით კლანი გაამყარეს“




ლაშა ჩხარტიშვილი: „დამისახელონ ერთი რომელიმე მილიარდერი, ივანიშვილის გარდა, რომელსაც ხელისუფლებაზე აქვს გავლენა და გავჩუმდები“






ლელა ჯეჯელავა: „ახლა რომ ანაკლიის პორტი ყოფილიყო აშენებული, ჩვენი ფუნქცია გაცილებით სხვა იქნებოდა“

## „დღეს ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ზარებით იმართება“




ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დაიწყო

„უკრაინა მოლაპარაკებებს მხოლოდ ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ დათანხმდება“




1993230720223

**2** ანა ნაცვლიშვილი „ქართულ ოცნებას“: „არ უთქვამთ, რომ „კუდიანებზე ნადირობა“ გამოაცხადოთ“

**4** ინდოეთში ხიდის ჩანგრევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 130-მდე გაიზარდა

**8** დემნამ კაპიუშონიანი პალტო სოკოს ტყავისგან შექმნა

**6** ყველაზე დაუბანელი ადამიანი ბანაობიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა

# „მელია მეცოდება, სათქმელი აღარაფერი დარჩა“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნების“ ბედი უკრაინის ხელშია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**



***— ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? „ქართული ოცნება“ თითქოს მუშაობს კანონპროექტებზე, მაგრამ ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს 12-პუნქტიანი გეგმა განწირულია ჩასაგდებად. რა ხდება რეალურად, საით მიჰყავს ხელისუფლებას პროცესები?***

— ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებულიც არ იყო ეს გეგმა, რომ მე თავიდანვე ვთქვი, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ შეასრულოს! როგორც დეტექტივებშია, მკვლელი გეგმავს მკვლელობას და მერე ცდილობს, ის სხვას დააბრალოს. „ქართულმა ოცნებამ“ როგორც კი მიაღწია თავისსას და არ მიიღო კანდიდატის სტატუსი, ის ამით ძალიან ბედნიერი იყო. იქიდან მოყოლებული, სულ ცდილობს, რომ ახლა ეს მეორე ვარიანტიც ჩააგდოს და არ მივიღოთ კანდიდატობის სტატუსი ერთი და მეორე, ყველაფერი დაჰბრალდეს ოპოზიციას, დაჰბრალდეს ევროკავშირს და დაჰბრალდეს ამერიკას. აი, ესაა მათი მთავარი ამოცანა. ამიტომ, თუ ვინმემ დღეს გაიგო, რომ „ქართული ოცნება“ ამას აპირებს, კი ბატონო, ასეა, მაგრამ თავიდანვე იკითხებოდა, რომ ასე იქნებოდა. ოპოზიციამ აუცილებლად უნდა ითანამშრომლოს „ქართულ ოცნებასთან“!

***— გამოვა რამე ამ თანამშრომლობიდან?***

— არა იმიტომ, რომ რამე გამოვიდეს, არამედ იმიტომ, რომ მათ არ დაჰბრალდეთ, ჩვენ რომ კანდიდატობის სტატუსს ვერ მივიღებთ.

აუცილებლად რაღაც უნდა შეიტანოს „ოცნებამ“ და მერე ევროსაბჭომ ეს უნდა შეაფასოს. ჩვენი მოპასუხე დღეს სწორედ ევროკავშირია. რაღაც აუცილებლად უნდა დაიწეროს, თუნდაც დეოლიგარქიზაციაზე, კიდევ სხვა რაღაცებზე, რაც მისაღები იქნება ევროკავშირისთვის ან მიუღებელი, თუმცა აქედან რაღაც აუცილებლად უნდა წავიდეს.

***— დეოლიგარქიზაციის კანონს განიხილავს პარლამენტი, ოპოზიცია იწუნებს კანონპროექტს. „ოცნება“ აცხადებს, რომ ეს კანონი ბიძინას არ შეეხება.***

— მთავარი ახლა ეს არ არის, ბიძინას შეეხება თუ არ შეეხება. ცოტა ხნით ოპოზიციამ ამაზე თვალი უნდა დახუჭოს. მთავარია, ეს 12 პუნქტი შესრულებულად ჩაგვითვალოს დასავლეთმა და მივიღოთ კანდიდატობის სტატუსი. აი, მერე კი ყველაფერი იქნება. ოღონდ ფეხი შევდგათ ევროკავშირის ამ პირველ ოთახში და მოგვცენ სტატუსი, მერე მილიონჯერ დაუბრუნდება საქართველო ნებისმიერ კანონს და მათ შორის დეოლიგარქიზაციას. როგორმე შეიგნოს ოპოზიციამ, რომ თუ არ ვიღებთ კანდიდატის სტატუსს, ეს ოლიგარქი თავზე გაზის.

***— დასავლეთიდანაც სწორედ ეს მოწოდებები ისმის, რომ ითანამშრომლონ, მაგრამ ვერ შედგა ეს თანამშრომლობა. ახლა მელია გამოდის და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს.***

— უკვე მეცოდება ეს მელია. სხვა არაფერი აქვს სათქმელი. სწორედ ამითაა ძლიერი „ქართული ოცნება“, რომ სათქმელი არაფერი აქვს ოპოზიციას. ახლა რა დროს კინკლაობაა კანონებზე, მთავარია, რომ რაღაცის გამო მოგვცენ სტატუსი. მერე, 12 პუნქტი კი არა, მილიონჯერ 12 იქნება! მათ შორის დეოლიგარქიზაციის კანონსაც ყველანაირად გამოხრავენ, ასე იქნება. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ამ სტატუსის მიღებაა. მერე უამრავი პირობა წამოვა, როგორი უნდა იყოს საქართველო, რათა შემდეგი ნაბიჯი გადადგას ევროკავშირში გაწევრიანების მიმართულებით. დღეს რას ცდილობს ოპოზიცია? რომ ჩააგდოს კანონი და მერე კიდევ უარესად დააჯდეს თავზე ივანიშვილი როგორც ოპოზიციას, ისე მთელ საქართველოს?! ოპოზიცია ვერ მიაღწევს იმას, რაც მას უნდა, სამაგიეროდ, ამ რეგვნული პოლიტიკით „ქართული ოცნება“ მიაღწევს თავის მიზანს, ოპოზიციას დააბრალებს იმას, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ კანდიდატობის სტატუსი.

***— რატომ აკეთებს ამას ოპოზიცია? ვერ ხვდებიან? ბევრი ფიქრობს, რომ ბიძინას თამაშს თამაშობენ მიზანმიმართულად.***

— ნეტა იმის უნარი მაინც ჰქონდეთ, რომ ვიღაცის თამაში ითამაშონ. ოპოზიციას ეშინია, რომ „ქართული ოცნება“ მიითვისებს ევროკავშირში გაწევრიანებაზე კანდიდატის სტატუსს. არ უნდათ, რომ ეს „ოცნებამ“ გააკეთოს, უნდათ, თვითონ მიიკერონ და ეს არ გამოვა. „ქართული ოცნება“ ხომ არაპოპულარულია და ესენი კიდევ უფრო მეტად არაპოპულარულები არიან. ამ ოპოზიციის მთელი ტრაგედია არის ის, რომ მათ უნდათ არა პერსპექტიული საქართველო, არამედ დღევანდელი! სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო „ქართული ოცნებისაა“ და არა მათი. პირიქით, ხელს უნდა უწყობდნენ ხელისუფლებას, რომ კანდიდატის სტატუსი მიიღონ. თუ სტატუსს ვერ ვიღებთ, ეს „ოცნების“ გამარჯვებაა. მათაც ეს უნდათ და ამაში ხელს რატომ უწყობენ?! ეს როგორმე შეუშვას ოპოზიციამ თავში! ეს შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან!



***— ბატონო პაატა, ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და აქვე გიორგი გახარიაზეც გკითხავთ. გასულ კვირას სერიოზული თავდასხმა წამოვიდა მასზე ხელისუფლების მხრიდან. როგორც კი გააქტიურდება, მაშინვე თავს ესხმიან, მაგრამ ახლა საკმაოდ აგრესიულები იყვნენ. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გახარიამ რაღაც გარანტიები მიიღო დასავლეთიდან, ამიტომ გააქტიურდა და „ოცნებაც“ ეჭვიანობს. თქვენ რას იტყვით, რა ხდება?***

> **„სულ რომ არაფერი არ თქვას გახარიამ, სულ რომ ხმა არ ამოიღოს და არჩევნების დროს მისი ნომერი იყოს ბიულეტენში, ხალხი დადუმებულ გახარიასაც კი მისცემს ხმას და დადუმებული გახარიაც კი გადალახავს 5%-ს, იმდენად მიუღებელია ბევრისთვის „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც“**

— ვნახოთ, არჩევნების წინ გამოჩნდება ყველაფერი. აქ უნდა ითქვას ერთი, რომ გახარია აშკარად აძლიერებს მესამე ძალის კონცეფციას, რაც საზოგადოებაში შეიძლება იყოს პოპულარული. ნებისმიერი, ვინც არ უნდა იყოს მესამე ძალა, ვინც არ იქნება მიბმული არც „ოცნებაზე“ და არც ნაცმოძრაობაზე, ასეთ ძალას აქვს წარმატების საკმაოდ სერიოზული შანსები. გახარია კი ყველაზე კარგად აზის ამ კონცეფციას. სულ რომ არაფერი არ თქვას გახარიამ, სულ რომ ხმა არ ამოიღოს და არჩევნების დროს მისი ნომერი იყოს ბიულეტენში, ხალხი დადუმებულ გახარიასაც კი მისცემს ხმა და დადუმებული გახარიაც კი გადალახავს 5%-ს, იმდენად მიუღებელია ბევრისთვის „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც. ამას კარგად ხედავს დასავლეთიც. ისინი, გახარიას გარდა, სხვას ვერავის ხედავენ. მეც ვერ ვხედავ, სამწუხაროდ. „ოცნების“ რეაქციებიდანაც ძალიან კარგად ჩანს, რომელი ოპოზიციური ძალის ეშინია. კი, გახარია ვერ აიღებს 40-50%-ს, ეს გამორიცხულია...

***— მაშინ, რა აშინებს „ქართულ ოცნებას“?***

— „ქართულ ოცნებას“ აშინებს ის, რომ გახარიაში ამოიზრდება რეალური პოლიტიკური ძალა. 2024 წელს პირველი პროპორციული არჩევნებია. ამ წელს სხვა უამრავი საკითხი გვარდება ერთბაშად. ამერიკაში არჩევნები იქნება, რუსეთში არჩევნები იქნება. გამოჩნდება, პუტინი რჩება თუ არა. ასევე თურქეთში არჩევნებია 2023-ში. ერთმანეთზეა მიბმული უამრავი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მთავარია, უკრაინა-რუსეთის ომი.

თუ უკრაინა იმარჯვებს და რუსეთი მარცხდება, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება, საინტერესოა, ამ ფონზე რა ბედი ელის „ქართულ ოცნებას“?! „ოცნების“ ბედი ახლა არც გახარიას ხელშია და არც მელიასი. „ქართული ოცნების“, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს ბედი, უკრაინის ხელშია. იმის მიხედვით, როგორი წარმატებული იქნება უკრაინა, ეს დიდ გავლენას მოახდენს ჩვენზე. თუ საზოგადოებას არ უნდა „ოცნება“, ე.ი. მას უნდა ვიღაც სხვა. ნაციონალური მოძრაობა რომ არ უნდა, ცხადზე ცხადია. ასეთ დროს გამოჩნდა გახარია, რომელიც შეიძლება შანსი იყოს სერიოზული წარმატებისა. სხვა პარტიები კი არ ჩანან. „ლელომ“ იმდენი იტრიალა ნაცმოძრაობის გვერდით, სანამ თავისი ყვითელი ფერი წითლად არ შეღება.

***— ამ ახალ ერთობაზე რას იტყვით, ვაშაძის გარშემო რომ გაერთიანდნენ?***

— ჩემი ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული. მე სრულიად ოპოზიციის გაერთიანების წინააღმდეგი ვარ. ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია. რაც შეეხება ასე ჯგუფებად გაერთიანებას, ეს ნორმალურია, რადგან პარტიებს 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი მიეცემათ. ოპოზიციამ შეცდომა აღარ უნდა დაუშვას და ნაცმოძრაობის გარშემო არ უნდა გაერთიანდეს. შექმნან ასე ცალ-ცალკე ჯგუფები და, რაც უფრო მეტ ხმას მოიზიდავენ, ასე უკეთესია, მეტი ხმა წაერთმევა „ოცნებას“. ნაცმოძრაობას არავინ არ უნდა მიეკედლოს.

# ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დაიწყო




საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დაიწყო. აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში პრემიერ-მინისტრის დახვედრის ცერემონია გაიმართა.

მთავრობის მეთაურს აეროპორტში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრი საგარეო ვაჭრობის საკითხებში, დოქტორ ტანი ბინ აჰმედ ალ ზეიოუდი და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პაატა კალანდაძე დახვდნენ.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის მეთაური ორმხრივ, მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს.

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

# ანა ნაცვლიშვილი „ქართულ ოცნებას“: „არ უთქვამთ, რომ „კუდიანებზე ნადირობა“ გამოაცხადოთ“

— იცნობთ თუ არა ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საქართველოს ჰყავს ერთადერთი რუსი ოლიგარქი, ივანიშვილი? — მე და თქვენ რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ, ეს არის უკვე შემდგარი ფაქტი, — ამის შესახებ განცხადება „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანა ნაცვლიშვილმა იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონზე მსჯელობისას უმრავლესობის მისამართით გააკეთა.



ანა ნაცვლიშვილის თქმით, „ოცნების“ წევრების განცხადება, რომ „კანონპროექტი არ შეეხება ივანიშვილს“ პირდაპირი განაცხადია იმის თაობაზე, რომ კანონპროექტი დეოლიგარქიზაციის შესახებ არ ემსახურება 12 რეკომენდაციის შესრულებას.

— იცნობთ თუ არა თქვენ ევროპარლამენტის რეზოლუციას, რომელიც ზუსტად იმ პერიოდშია მიღებული, როდესაც 12– პუნქტიანი წინაპირობა მივიღეთ, იცნობთ თუ არა ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საქართველოს ჰყავს ერთადერთი რუსი ოლიგარქი, ივანიშვილი? — მე და თქვენ რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ, ვინ არის ოლიგარქი, რას ნიშნავს ოლიგარქია, ეს არის უკვე შემდგარი ფაქტი, რომელიც გასაგებია, რომ თქვენთვის ძალიან მტკივნეული ამბავია, ივანიშვილიც გისაყვედურებდათ ამაზე, მაგრამ ისტორიის ნაწილია ეს უკვე, რომ მას აქვს საპატიო ადგილი ამ რეესტრში. უწყება, რომლის რეკომენდაციების შესასრულებლადაც არის ახლა პროცესი წამოწყებული, ერთადერთ ადამიანს მიიჩნევს ოლიგარქად, სხვას არავის. არ უთქვამთ მათ, რომ თქვენ აქ რეესტრი უნდა შეადგინოთ, კუდიანებზე ნადირობა გამოაცხადოთ, რაღაც პროცესები წარმართოთ პარლამენტში, ძალიან გასაგებად ჩაიწერა ერთი კონკრეტული ადამიანის სახელი და გვარი. შეიძლება არ გინდოდეთ, მაგრამ ეს უკვე შემდგარი ამბავია. მეტიც, ამ რეზოლუციაში ჩაიწერა ევროპარლამენტის მხრიდან, რომ უნდა მოხდეს ამ ადამიანის სანქცირების თემის შესწავლა და დღის წესრიგში დაყენება, როგორც ევროკავშირის მხრიდან ასევე დემოკრატიული პარტნიორების მხრიდან, რაც გულისხმობს დანარჩენ დემოკრატიულ მსოფლიოს. ამიტომ, თქვენ ახლა საქართველოში 150 ადამიანიც რომ შეიყვანოთ ოლიგარქთა რეესტრში, ევროკავშირს ერთი ოლიგარქი ჰყავს შეყვანილი რეესტრში და სანქცირების კონტექსტშიც აქვს პოლიტიკური რეზოლუცია მიღებული. შესაბამისად, ის კანონპროექტი, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ და რომლის წარმოდგენამდეც არაერთხელ გააკეთეთ პოლიტიკური განცხადება, რომ ეს კანონპროექტი არ შეეხება ივანიშვილს, პირდაპირი განაცხადია იმის თაობაზე, რომ ესე იგი ეს კანონპროექტი არ ემსახურება 12 რეკომენდაციის შესრულებას, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მურუსიძე-გვრიტიშვილის დაბრუნებით კლანი გაამყარეს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „დამისახელონ ერთი რომელიმე მილიარდერი, ივანიშვილის გარდა, რომელსაც ხელისუფლებაზე აქვს გავლენა და გავჩუმდები“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, არჩილ თალაკვაძემ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტთან დაკავშირებით განაცხადა, ოპოზიციას შურისძიება ამოძრავებს და ამისთვის უნდოდათ, ეს კანონპროექტი გამოეყენებინათო. მიიღებს დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს პარლამენტი?***

– კი, რა თქმა უნდა, მიიღებენ იმ კანონპროექტს, რომელიც მათ აწყობთ. მიიღებენ იმ კანონპროექტს, რომლის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის გარდა, სხვა ყველა ოლიგარქად იქნება მიჩნეული. ეს იქნება არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ქართველი ხალხის დაცინვაც.



ივანიშვილი და მისი გუნდი არაფერს არ გააკეთებენ იმისთვის, რომ ევროკავშირის 12-პუნქტიანი მოთხოვნა შესრულდეს და ქვეყანამ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი მიიღოს.

***– რატომ, ლოგიკურად ხომ უნდა აწყობდეთ?***

– არა, არ აწყობთ. ევროკავშირი არ არის „ქართული ოცნების“ მიზანი. უკვე არ არის საიდუმლო, რა არის ამ ხელისუფლების მიზანიც და ამოცანაც. წლის ბოლოს ისევ უარს გვეტყვიან, რადგან ყველას ნაცარს აყრიან თვალებში. ქვეყანას ერთადერთი მოქმედი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი ჰყავს, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს ხელისუფლებაზე, მაგრამ, რას გვეუბნებიან თალაკვაძეები, კობახიძეები? – საკუთარ რიგებში მოიკითხეთ ოლიგარქებიო. რა უნდა მოვიკითხოთ, როდესაც ბუნებაში არ არსებობენ ასეთები. დამისახელონ ერთი რომელიმე მილიარდერი, ივანიშვილის გარდა, რომელსაც ხელისუფლებაზე აქვს გავლენა და გავჩუმდები.

უკრაინა სრულიად განსხვავებული შემთხვევაა. იქ ხუთი ოლიგარქი იყო, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ. ამ ქვეყანას ერთი მილიარდერი ჰყავს და იმასაც გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. არათუ გავლენა, თავად არის ყველაფერი. ამიტომ რომელ დეოლიგარქიზაციაზეა საუბარი. ივანიშვილი საკუთარ თავს დასჯის ან მისი ყმები ბატონს დასჯიან?! ასეთი რამ ხომ სრულიად წარმოუდგენელია. ვის ატყუებენ ესენი, ევროკავშირს თუ ქართველ ხალხს?! სასაცილოები არიან.

ამ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შანსი ევროკავშირია. თუ წლის ბოლოს ევროკავშირი უარს გვეტყვის, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ხალხი ძალიან გაბრაზდება.

***– როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

– გაბრაზებული ხალხი რას იზამს, ამის პროგნოზი ძალიან რთულია. ქუჩაში რომ გავა ხალხი და უკვე ცალსახაა, რადგან სწორედ ასი ათასზე მეტი ადამიანი ევროკავშირის მოთხოვნით გამოვიდა ქუჩაში, ეს ვნახეთ. შემდეგ რა სახეს მიიღებს, ვერ გეტყვით. ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ – „ქართულ ოცნებას“ ხალხის რისხვის უნდა ეშინოდეს.



რასაც ახლა ვხედავთ, არის მხოლოდ იმიტაცია, ვითომ 12 პუნქტი უნდა შეასრულონ, მაგრამ ყველაფერს საწინააღმდეგოს აკეთებენ. სხვა რა უნდა თქვა იმ უმსგავსობაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ სასამართლო სისტემაში მოხდა.

***– როგორ ფიქრობთ, რა გზავნილი იყო მურუსიძისა და გვრიტიშვილის დაბრუნება?***

– ევროკავშირიც და მთელი ქართველი ხალხიც ეშმაკს წაუღია, მთავარია, ჩვენ არანაირი საფრთხე არ შეგვექმნას, ჩვენს მარადიულად ყოფნას არაფერი არ დაემუქროსო. ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი კამპანია სამართლიანობის აღდგენაზე ააგო, მაგრამ, რა მივიღეთ პირველივე წელს, როდესაც თავად იყო პრემიერი? – მურუსიძე ჩაიხუტა. ეს იყო ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება. მურუსიძე, რომელიც ამ ქვეყანაში უსამართლობის სიმბოლოდ იყო ქცეული, გვითხრეს, სამართლიანობას დაგიბრუნებთო. გირგვლიანის მკვლელებს, რომლებსაც ისედაც სიმბოლური სასჯელი ჰქონდათ მისჯილი, მსჯავრი მურუსიძემ გაუნახევრა. ახლა რომელ ევროკავშირზეა საუბარი. ეს ამბავი ხომ ევროკავშირმაც და ყველამ კარგად იცის – მურუსიძე ამ ქვეყანაში და ყველგან მხოლოდ მონობის, უსამართლობის სიმბოლოა. ეს თქვა ევროპის ადამინის უფლებათა სასამართლომ, სხვა კი არაფერი.

თუ სააკაშვილის ხელისუფლება ყველა წვრილმანში ერეოდა და სასამართლოში გამამართლებელი განაჩენი ლამის ნული პროცენტი იყო, ახლა ეს სტატისტიკა ცოტა გაუმჯობესებულია იმის ხარჯზე, რომ ივანიშვილს წვრილმანები არ აინტერესებს, მაგრამ, თუ სარჩელი ეხება არჩევნების შედეგებს, მსხვილ კორუფციულ გარიგებას, პოლიტიკურ ლიდერებს, მაშინ მურუსიძის ხელით ყველაფერი თავის ადგილზე „დალაგდება“. ეს გზავნილი იყო გვრიტიშვილისა და მურუსიძის დაბრუნება, სხვა არაფერი. კლანი გამყარდა.

# „დღეს ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ზარებით იმართება“

## ლელა ჯეჯელავა: „ახლა რომ ანაკლიის პორტი ყოფილიყო აშენებული, ჩვენი ფუნქცია გაცილებით სხვა იქნებოდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.**

***– ქალბატონო ლელა, გასულ კვირას საქართველოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი სტუმრობდა. ბევრი შეფასება მოვისმინეთ ამ ვიზიტთან დაკავშირებით. აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ილჰამ ალიევი ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. რა გზავნილები ჩამოიტანა ალიევმა და შეხვდა თუ არა ის ივანიშვილს?***

– რაც შეეხება ალიევის ვიზიტს, ვერ ვიტყოდი, რომ ამ შეხვედრაზე ივანიშვილის ყოფნა იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და არც იმ მოსაზრებას ვიზიარებ, რომ ალიევი ისე არ ჩამოვიდოდა, თუ ივანიშვილს არ შეხვდებოდა. შესაძლოა, იყო, შესაძლოა, არ იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ღარიბაშვილი, იმ ფუნქციას, რომელსაც ის ასრულებს, რომ იყოს ამბის მიმტანი ივანიშვილამდე, ანუ კურიერი, როგორც თავად ბიძინა უწოდებს, ამას ასრულებს ავად თუ კარგად და, დავუშვათ, ალიევის შემონათვალსაც მიიტანდა. არის რამდენიმე მომენტი, რომლებიც ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ.

***– რას გულისხმობთ?***

– პირველი – ეს შეიძლება უკავშირდებოდეს გაზისა და ნავთობის ექსპორტს, მის ტრანზიტს საქართველოს გავლით. არსებობდა ინფორმაცია, რომ როდესაც ბაქოში ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, გეტყვით იმასაც, რომ საქართველოს მხარე მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა ამას. როგორც ამბობენ, ეს თემა ივანიშვილმა გამოიყენა დასავლეთთან სავაჭროდ. ეს ხელობა მან ძალიან კარგად იცის. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომელიც შორს არ არის ლოგიკისაგან და, დიდი ალბათობით, ალიევის ჩამოსვლა უკავშირდებოდა იმას, რომ მას ცხადად ჩამოუტანეს გზავნილი, რომელიც დღეს არის საერთაშორისო გეოპოლიტიკურ კონტექსტში გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პერსონების მხრიდან, თუ რა როლი ეკისრება საქართველოს აქ და როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება.

არის მეორე ვერსია – უკრაინამ დაასანქცირა ივანიშვილთან ახლოს მყოფი გარკვეული პერსონები, მათ შორის ისინი, ვინც უშუალოდ არიან ჩართული ენერგეტიკის სფეროში. შესაძლოა განიხილებოდა ამ პერსონების ჩანაცვლების თემაც, იმიტომ რომ, უნდა თუ არა, ალიევს მოუწევს, უკრაინის მიერ პოლიტიკური სანქციების ქვეშ მოყოლილ პირებთან აღარ ითანამშრომლოს. ალიევს ახლა ნამდვილად არ აწყობს, უკრაინასთან პრობლემები შეიქმნას. თემები, რომლებიც დაგროვდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, თუნდაც რეგიონული ფორმატიდან გამომდინარე, არის საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი.



***– საუბრისას ბრძანეთ, რომ ივანიშვილი ვაჭრობს, თუნდაც ამ ენერგომატარებლებთან დაკავშირებით. რამდენად არის დღეს ივანიშვილი იმ სიტუაციაში, რომ პირობები თავად წამოაყენოს და ივაჭროს?***

**„ფულის გარშემო გაერთიანებას რომ კარგი არაფერი მოუტანია, ამ ათწლიანმა ისტორიამაც დაგვანახა, თორემ, იმდენი ფული, რამდენიც ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა, ეჭვი მეპარება, კეზერაშვილს ან ვინმე ქართული პოლიტიკით დაინტერესებულ სუბიექტს ჰქონდეს“**

– ბიძინა ივანიშვილმა უკვე ძალიან გააფუჭა და დაამძიმა საქართველოს ფუნქცია, რომელიც მას ბუნებრივად უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუკი ანაკლია იქნებოდა აშენებული. ჩვენ ამ გეოპოლიტიკურ გამოწვევებს სრულიად მოუმზადებლები დავხვდით. ახლა რომ ანაკლიის პორტი ყოფილიყო აშენებული, ჩვენი ფუნქცია გაცილებით სხვა იქნებოდა და სულ სხვა მასშტაბებზე ვისაუბრებდით, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ ეს უკვე მოახერხა, იმდენად დააზარალა ქვეყანა, რომ ამ სერიოზულ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენ გარშემო ხდება, საქართველო მოუმზადებელი ხვდება. რასაკვირველია, ივანიშვილს ჯერ კიდევ აქვს ხელთ ბერკეტები. რაც არ უნდა იყოს, ხელისუფლების მთელი ვერტიკალი იმართება არა კონსტიტუციით, სასამართლოთი ან სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებით, არამედ მთლიანად ბიძინა ივანიშვილის სატელეფონო ზარებით. ასეთ პირობებში, ცხადია, მას ჯერ კიდევ აქვს გავლენები და ბერკეტები, რომელთა გამოყენებასაც ის ბოლომდე შეეცდება, თუმცა მიმდინარეობს სხვა პროცესები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ასეთ გავლენებს.

***– უმრავლესობა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონზე მუშაობს, თუმცა, ამავდროულად, აცხადებს, რომ ივანიშვილს ეს არ შეეხება. რა ბერკეტები არსებობს ამ კაცის შესაზღუდად და რამდენად შეიცვლება რეალობა უახლოეს პერიოდში?***

– მე მაქვს ეჭვი, რომ ამ კანონის მიღებას ალბათ ვერ მოახერხებენ. ანდა რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს?! ისე არ ვიცით, საქართველოში ვინ არის ოლიგარქი და ვინ – არა? არ ვიცით, ვის ემორჩილება სახელისუფლებო ვერტიკალი და ვის აქვს გავლენა?! რომელიმე ბიზნესში მყოფ პოლიტიკოსს აქვს გავლენა დღეს ქართულ პოლიტიკასა და სახელისუფლებო ვერტიკალზე, გარდა ბიძინა ივანიშვილისა?! რა თავის აგდებაა ეს! ერთადერთი საშუალება ამ ადამიანის შეზღუდვისა, გარდა საერთაშორისო კონტექსტისა, რომელიც მისთვის სულ უფრო და უფრო მეტი ხიფათის შემცველი ხდება, არის ქართველი ხალხის ნება, რომელიც აუცილებლად იქნება მნიშვნელოვანი მისი გავლენების შესამცირებლად.

***– ამ ფონზე როგორ გამოიყურება ოპოზიცია? ნიკა მელია კვლავ ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. მეორე მხრივ, გიორგი ვაშაძე, ზურა ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია გაერთიანდნენ. ამბობენ, რომ კეზერაშვილის დიდი ფული შემოდის. ეს ყველაფერი აბალანსებს მოცემულ სურათს?***

– ფულის გარშემო გაერთიანებას რომ კარგი არაფერი მოუტანია, ამ ათწლიანმა ისტორიამაც დაგვანახა, თორემ, იმდენი ფული, რამდენიც ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა, ეჭვი მეპარება, კეზერაშვილს ან ვინმე ქართული პოლიტიკით დაინტერესებულ სუბიექტს ჰქონდეს. ფული არ არის ერთადერთი მდგენელი, რომელმაც შესაძლოა პოლიტიკაში წარმატება მოიტანოს. ეს საკმაოდ ბანალური ჭეშმარიტებაა, მით უმეტეს – ამ ეპოქაში. უკრაინის მაგალითზე ვხედავთ, რომ სრულიად სხვა ღირებულებები ხდება მნიშვნელოვანი. მე არ ვიცი, ის ოპოზიცია, რომელიც გაერთიანებაზე საუბრობს, რის გარშემო ერთიანდება. თუკი საუბარია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანებაზე, მე რამდენადაც ვიცი, ისედაც არაერთხელ ყოფილან ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გაერთიანებული, თუმცა შედეგის გარეშე უცნაურად იშლებოდნენ ხოლმე. მათ ძალიან სერიოზულად მოუწევთ საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ ან ვადამდელი არჩევნებით ახლა შეიძლება მიზნის მიღწევა, ან ამ ტიპის გაერთიანებით.

ივანიშვილის შეცვლა არ გადაწყვეტს იმ პრობლემას, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ამ გაერთიანებულმა ოპოზიციურმა ძალამ უნდა წარმოადგინოს ძალიან ნათელი გეგმა საქართველოს განვითარებისა და მომავალი პერსპექტივის შესახებ. ბევრი რამ იქნება განმსაზღვრელი, რამდენად წარმატებული იქნება ესა თუ ის გაერთიანება. დღეს ბევრად უფრო დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ფულზე მეტად რეპუტაციას აქვს.

***– ამით რის თქმა გინდათ?***

– იმის, რომ, როგორც არასდროს, ახლა ისეთი მნიშვნელოვანია რეპუტაციული თემა პოლიტიკოსისათვის!

***– სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ოპოზიციას დაკარგული აქვს რეპუტაცია.***

– ამიტომ, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი გაერთიანდება, მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ გაერთიანდება და რა რეპუტაციით სარგებლობენ ისინი საზოგადოებაში. გაერთიანება გაერთიანებისთვის კი არ უნდა მოხდეს, გაერთიანება უნდა მოხდეს ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული იდეისთვის, რომელიც გაცილებით მეტი და მაღალია, ვიდრე თუნდაც ივანიშვილის შეცვლა! პოლიტიკოსს, რომელსაც თითი თითზე არ დაუდვია, არაფერი ღირებული არ შეუქმნია, რთულია, კიდევ ერთხელ ენდო.

# „უკრაინა მოლაპარაკებებს მხოლოდ ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ დათანხმდება“

## „ტაქტიკური ბირთვული იარაღი, „ჭუჭყიანი ბომბი“ და კაშხლის აფეთქება უკრაინას მოლაპარაკებათა მაგიდასთან ვერ დასვამს“

მარიამ მჭედლიშვილი



უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ომში კიდევ ერთი ქართველი მოხალისე დაიღუპა. ქართველები უკრაინელების გვერდით იბრძვიან უკრაინისა და საქართველოს მომავლისთვის. რა პრობლემები და ამოცანები აქვს აგრესორს? რა სიტუაციაა უკრაინის ძალებში? – ამ საკითხებზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს უკრაინელი პოლიტიკური ექსპერტი, უკრაინის შეიარაღებული ძალების მოხალისე კირილ საზონოვი.

***– მტერი ამაგრებს თავდაცვას ხერსონის მიმართულებით. იმავდროულად, რუსეთში განხორციელებული „ნაწილობრივი მობილიზაციის“ შედეგად ფრონტზე მოსალოდნელია ათასობით ახალი მებრძოლის („ჩმობიკების“) გამოჩენა. რატომ ემზადებიან თავდაცვისთვის და არა შეტევისთვის?***

– ხერსონისკენ ოფიციალურად უკვე გადმოისროლეს 2 ათასი „ჩმობიკი“. ხერსონის გარშემო არსებობს, მინიმუმ, თავდაცვის სამი გამაგრებული ხაზი. როცა ჩვენებმა წარმატებული ნახტომით გაარღვიეს თავდაცვის ხაზი, ეს პირველი იყო. ამჟამად ისინი თანდათან ახორციელებენ მტრის განდევნას, იკავებენ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს, მიემართებიან ხერსონისკენ. თავდაცვის სამი ხაზის გარდა, თვითონ ხერსონი ძალიან მჭიდროდაა გამაგრებული. ესეც გასათვალისწინებელია.

შეტევაზე საუბარიც არ არის. სრულფასოვანი იერიშისთვის მათ (რუსებს) რესურსები, რეზერვი, ტექნიკა არ ეყოფათ. ამიტომ ისინი ემზადებიან ძალიან მჭიდრო მკაცრი თავდაცვისათვის და დგამენ სპექტაკლს „ჩვენ ახლა გავიქცევით“.

***– ძალიან უცნაური სპექტაკლია. მისი მიზანი რა არის?***

– ომი მოტყუების ხელოვნებაა. სადაც ძლიერი ხარ, სუსტად წარმოაჩენ თავს, სადაც სუსტი ხარ – ძლიერად. მათ ხერსონიდან მუდმივად ვიღაც გამოჰყავთ და ვიღაც შეჰყავთ იქ. ისინი ემზადებიან მისთვის საბრძოლველად. ემზადებიან სასტიკი ბრძოლისათვის. უბრალოდ ხერსონს არ დათმობენ.

***– უკრაინის არმიის შესაძლებლობები მუდმივად იზრდება. ამას ღია წყაროებიც ადასტურებს. თუმცა, გასაგებია, რომ ინფორმაცია სამხედრო დახმარების შესახებ ძირითადად დახურულია.***

– დასავლეთიდან სერიოზულ იარაღს, ტექნიკას ვიღებთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დანაკარგი არ გვაქვს. ჩვენც გკარგავთ ტექნიკას, ადამიანებს ხერსონის, ბახმუტისა და ავდეევკის მიმართულებითაც. შეტევა ადვილად არ მოდის. უკრაინის არმია ძლიერდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანაკარგი მარტო მტერს აქვს.

***– ხედავთ თუ არა იმის ნიშნებს, რომ კრემლში მიღებულია რაღაც პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ომის თაობაზე? მაგალითად, ხომ არ განუსაზღვრავს მტერს ზღვარი, რომელთანაც გაჩერდება?***

– ისინი ცოტა პანიკაში არიან. რუსეთს მოლაპარაკებები უნდა. ეს აშკარაა. მათ არ შეუძლიათ, სრულმასშტაბიანად მიიტაცონ დონეცკის ოლქი, არ შესწევთ ძალა, გადაადგილდნენ ხერსონიდან, აიღონ ზაპოროჟიე. ვხედავთ ამის საპირისპირო პროცესს: ბახმუტში ასფალტის ქარხნისკენ წინ წავიწიეთ 2 კილომეტრით, ხერსონიდანაც ვდევნით მტერს, ვათავისუფლებთ დასახლებულ პუნქტებს. კრემლი ხედავს, რომ მას თანდათან ავიწროებენ. ამიტომ უნდა მოლაპარაკებები. მათი საშუალებით განზრახული აქვთ შეინარჩუნონ, გაამაგრონ არსებული მდგომარეობა.

უკრაინის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია. ის გაახმოვანეს ზელენსკიმ, ერმაკმა, კულებამ, საკვანძო პოლიტიკოსებმა – უკრაინა ყველა მოლაპარაკებას მხოლოდ ტერიტორიების გათავისუფლების შემდეგ მართავს.

***– ფაქტობრივად, ოკუპანტებს რჩებათ უკანასკნელი არგუმენტი – ბირთვული. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ის იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ ზელენსკი მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასვან?***

– რთულია ჩაიხედო ამ არც ისე ადეკვატური და არც ისე საღად მოაზროვნე ადამიანების თავში. მგონია, რომ ისეთი ტერორისტული აქტი, როგორიცაა დარტყმა ტაქტიკური ბირთვული იარაღით, „ჭუჭყიანი ბომბის“ ჩამოგდება და კაშხლის აფეთქება, აიძულებს უკრაინას, დაჯდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან. პირიქით, ეს უკრაინას უბიძგებს, იყოს უფრო სასტიკი. დასავლეთიც უფრო მკაცრ პოზიციას დაიკავებს.

# ხარკოვის გუბერნატორი: „უკრაინელები ხარკოვში 24 დასახლების გასათავისუფლებლად იბრძვიან“



– უკრაინის შეიარაღებული ძალები ხარკოვის ოლქში 24 დასახლების გასათავისუფლებლად იბრძვიან, მტერი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს, – ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ოლეგ სინეგუბოვზე დაყრდნობით ავრცელებს.

– ჩვენი შეიარაღებული ძალები აქტიურად იბრძვიან ჩვენი ტერიტორიების გასათავისუფლებლად. საშუალოდ 24 დასახლებული პუნქტი ჯერ კიდევ ოკუპაციის ქვეშ რჩება. რატომ ვამბობ „საშუალოდ“, რადგან ფრონტზე ვითარება ნამდვილად იცვლება, თუმცა ჩვენი შეიარაღებული ძალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად, სრულად გათავისუფლდეს ოლქი, – განაცხადა სინეგუბოვმა.

მისივე თქმით, რუსი ოკუპანტები აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ და უკან დახევას არ აპირებენ. სინეგუბოვის ინფორმაციით, ფრონტის ხაზი შეიცვალა, ამიტომ პოზიციების გაძლიერებაზე მუშაობა გრძელდება, მაგრამ საკუთარ პოზიციებს მოწინააღმდეგეც აძლიერებს.

– შენდება საფორტიფიკაციო-თავდაცვითი ნაგებობები. შეგახსენებთ, ჩვენ გვაქვს 315–კილომეტრიანი საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან. რუსები ასევე ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს, – აღნიშნა სინეგუბოვმა.

# რუსები უკრაინის ტერიტორიაზე მასობრივ სარაკეტო თავდასხმას ახორციელებენ



რუსული ძალები უკრაინაზე მასობრივ სარაკეტო შეტევას ახორციელებენ. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, რუსები ზაპოროჟიეში კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ ობიექტს დაესხნენ თავს. რაკეტებით იბომბება ვინიცაც.

კიევში აფეთქებების ხმა ისმის და საჰაერო თავდაცვა მუშაობს. მოქალაქეებს საჰაერო თავდასხმის განგაშის დასრულებამდე თავშესაფრებში დარჩენისკენ მოუწოდებენ.

შეგახსენებთ, მანამდე ცნობილი გახდა, რომ უკრაინის თითქმის მთელ ტერიტორიაზე საჰაერო განგაში გამოცხადდა.

# ინდოეთში ხიდის ჩანგრევის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 130-მდე გაიზარდა



ინდოეთში, გუჯარათის შტატში, ფეხით მოსიარულეთა ხიდის ჩანგრევის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 130-მდე გაიზარდა. ინფორმაციას Guardian-ი ავრცელებს.

ადგილობრივი ოფიციალური პირების განცხადებით, ქალაქ მორბში, მდინარე მაჩჩუზე მდებარე ხიდზე, დაახლოებით 400 ადამიანი იმყოფებოდა, როდესაც შემთხვევა მოხდა.

230-მეტრიანი ხიდი მე-19 საუკუნეში, ბრიტანეთის მმართველობის დროს აშენდა. აღსანიშნავია, რომ ხიდს 6თვიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა და ის ახლახან, 26 ოქტომბერს გაიხსნა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „9 თვის განმავლობაში საქართველოში 10,2% ეკონომიკური ზრდაა“

– 9 თვის განმავლობაში საქართველოში არის 10,2% ეკონომიკური ზრდა. ეს არის უპრეცედენტო მთელ ევროპაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, წლის ბოლომდე არის მოლოდინი, რომ ქვეყანას ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ექნება.

– მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე გეოპოლიტიკური გამოწვევებისა და დაძაბულობის ფონზე, ჩვენ ვინარჩუნებთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში. 9 თვის განმავლობაში საქართველოში არის 10,2% ეკონომიკური ზრდა. ეს არის უპრეცედენტო მთელ ევროპაში. ასევე მინდა ვთქვა, რომ გაზრდილია ექსპორტი 40%-ით და 9 თვეში ზრდამ 37,4% შეადგინა. ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ტურიზმის აღდგენა მიმდინარეობს სწრაფი ტემპით. თუ ჩვენ შევადარებთ 2019 წელს, წელს უკვე 97,5%-ით არის აღდგენილი ტურიზმი. აქედან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2,5 მილიარდი აშშ დოლარი.

არ მინდა, წინასწარ პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ წლის ბოლომდე ჩვენი მოლოდინი არის, რომ ჩვენ შევინარჩუნებთ ასეთ მაღალ ეკონომიკურ ზრდას და წლის ბოლოს ველოდებით ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო 3 წლის განმავლობაში, იმ დათქმით, რომ ყველა ჩამოთვლილი პროექტი იქნება გაფორმებული და გაშვებული, მინიმუმ 3 მლრდ დოლარის ინვესტიციას ველოდებით ენერგეტიკის სექტორში.

– მეორე საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო, ეს არის ჩვენი დაპირება. მოგეხსენებათ, რომ მით უმეტეს ამ ომმა, რაც მიმდინარეობს უკრაინაში, და კრიზისმა გამოაჩინა კიდევ ერთხელ სირთულეები, რომლებიც ქვეყნებსა და სახელმწიფოებს აქვთ – ესაა ენერგოუსაფრთხოება და ენერგოდამოუკიდებლობა. საქართველოს, რა თქმა უნდა, გააჩნია საკმაოდ დიდი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდრორესურსები, ამიტომ ამ რესურსს სჭირდება მაქსიმალურად გონივრულად გამოყენება და ათვისება. ესაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და სწორედ ამ მიმართულებით ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ვიმუშავეთ აქტიურად.

ბოლო საკითხი, რაზეც მინდა საზოგადოებას ვუთხრა, ესაა თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა. მოგეხსენებათ, ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე არის ჩართული ამ სექტორში, თხილის წარმოებაში. სამწუხაროდ, ფაროსანას ნეგატიური ეფექტი ჯერ კიდევ არის წარმოდგენილი. თუ არ ვცდები, 2017 წელს შემოვიდა ფაროსანა და მან თხილის წარმოების ძალიან დიდი კლება გამოიწვია. მოგეხსენებათ, რომ წელსაც მაინცდამაინც კარგი მოსავალი არ იყო. ხარისხი იყო შედარებით გაუარესებული. ამას ემატება ისიც, რომ მოთხოვნაა შემცირებული და ფასები დაკლებულია მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე. ამიტომ ჩვენ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ წავახალისოთ და ხელი შევუწყოთ ამ სექტორში მომუშავე ფერმერებსა და ფიზიკურ პირებს, დავეხმაროთ მაქსიმალურად, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, პროგრამა ითვალისწინებს თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობას, თხილის მოვლა/მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით. მთავრობის მეთაურმა რთველზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაახლოებით 250 მლნ ლარი შევიდა კახეთის რეგიონში.

– პროგრამა ითვალისწინებს თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობას, თხილის მოვლა/მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირების გზით. ამისთვის პირველ ეტაპზე გამოვყოფთ დაახლოებით 20 მლნ ლარს და ამის თაობაზე ბატონი ოთარი მოგვიანებით მოგახსენებთ დეტალურად. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართულია ამ სექტორში, და, განსაკუთრებით სამეგრელოში, ძალიან ბევრი ადამიანია ამ სექტორში ჩართული და სჭირდებათ მაქსიმალური მხარდაჭერა, ისე როგორც ვეხმარებით რთველს, ყურძნის წარმოებას და ა.შ. მინდა ვთქვა ასევე, რომ რთველი წარმატებით დასრულდა, დაახლოებით 250 მლნ ლარი შევიდა, რომ იტყვიან, კახეთის რეგიონში და მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ოთარ შამუგიას, რომელმაც წარმატებით ჩაატარა რთველი და ყველა იმ უწყებას, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესში, – განაცხადა პრემიერმა.

# ირაკლი ზარქუა: „ის, რასაც გიყვებიან ჭიჭე ვაშაძეები, გიჟი ჯაფარიძეები, ხელმოცარულების ბოდვაა“

– ის, რასაც გიყვებიან ჭიჭე ვაშაძეები, გიჟი ჯაფარიძეები, ხელმოცარულების ბოდვაა. ნუ აჰყვებით მათ, იმიტომ რომ, როგორც ისინი არიან პოლიტიკურ სანაგვეზე, ასე დარჩებით, ვინც მათ გაჰყვებით, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა.

ზარქუამ სავალუტო ფონდის პროგნოზზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სწორედ ეს არის ზუსტი მონაცემები და არა ის, რასაც ეს სამი პარტია ამბობს. ზარქუა მიიჩნევს, რომ 2030 წლისთვის ივანიშვილის მიერ გაკეთებული პროგნოზების სიზუსტე სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით დადასტურდა.

ექსპორტის ზრდა უკვე 4 მილიონს ასცდა, საგარეო ვაჭრობაში გვაქვს ძალიან მაღალი ზრდა, მათ შორის მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2027 წელს დაახლოებით 10 ათას დოლარს გადასცდება შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო 2030 წლისთვის საერთოდ 15.000 დოლარზე მეტია, ანუ საქართველო ხდება მაღალშემოსავლიანი ქვეყანა. მინდა შეგახსენოთ, რომ სწორედ ამაზე საუბრობდა ბიძინა ივანიშვილი, როცა პროგნოზებს აკეთებდა, რომ 2030-ში საქართველო გახდება მაღალშემოსავლიანი სახელმწიფო და სწორედ ამის დადასტურება იყო, რაც მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნეს. ახლა რაღას იტყვიან, მაინტერესებს, ეს ხელმოცარულები?! ეს არის, მეგობრებო, სწორი ფაქტები, ხოლო ის, რასაც გიყვებიან ჭიჭე ვაშაძეები, გიჟი ჯაფარიძეები, ესენი არიან ხელმოცარულები. ეს არის ბოდვა, ნუ აჰყვებით მას, იმიტომ რომ, როგორც ისინი არიან პოლიტიკურ სანაგვეზე, ასე დარჩებით, ვინც მათ გაჰყვებით, – განაცხადა ზარქუამ.

მისივე თქმით, „ხელმოცარულების“ იდეები მათთვის საინტერესო აღარ არის, რადგან ისინი რევოლუციაზე ფიქრობენ.

– მათი ამოცანა არ არის ქვეყნის მშენებლობა. მათი ამოცანაა, რამენაირად ქაოსში შეიყვანონ ქვეყანა, იმიტომ რომ, ჰგონიათ, შემდეგ ამ რევოლუციურ ტალღაზე ხელისუფლებაში მოხვდებიან. მშვიდობიან გარემოში მათ იციან, რომ შანსი არა აქვთ, 2 პროცენტი აიღონ. აგერ ნახავთ, არჩევნები ხომ მოვა და ერთი პროცენტიც არ ექნებათ, ნახავთ, თუ მიაღწიეს მანამდე. ასეთ ხელმოცარულებს, ერთადერთი, ის დარჩენიათ, რომ რევოლუციური სცენარი განახორციელონ, – განაცხადა ზარქუამ.

# პროკურატურამ კიდევ ერთი ყოფილი პოლიტპატიმრის დაზარალებულად ცნობის გადაწყვეტილება მიიღო

პროკურატურამ ყოფილი მსჯავრდებულის, პოლიტპატიმარ კაკო შუბითიძის დაზარალებულად ცნობის გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო ერთი პირი, ყოფილი მსჯავრდებული, სიმონ გაბრიელაშვილი ასევე პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გამართლდა.

ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა, ჩატარებული ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულის, პოლიტპატიმარ კაკო შუბითიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლებების არსებითი დარღვევის შესახებ დადგენილების გამოტანის გადაწყვეტილება მიიღო.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ კაკო შუბითიძე 2008 წლიდან იყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი და ამავე პარტიის მარნეულის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე. იგი პერიოდულად აქტიურად ერთვებოდა პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის ჩართული იყო 2011 წლის მაისის თვეში, სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ ორგანიზებულ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებში.

2011 წლის 26 ივნისს, მარნეულის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ, კაკო შუბითიძე ადმინისტრაციული წესით დაკავებული და გადაყვანილი იქნა ექსპერტიზაზე ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების მიზნით. დაკავებიდან დაახლოებით ექვსი საათის შემდეგ მარნეულის შს რაიონული სამმართველოს შენობაში მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება, გამომშრალი „მარიხუანა“ 8 გრამის ოდენობით.

2011 წლის 29 აგვისტოს ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენით კაკო შუბითიძე ცნობილი იქნა დამნაშავედ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის და სასჯელის სახით შეეფარდა პატიმრობა.

2012 წლის 5 დეკემბრის „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, კაკო შუბითიძე აღიარებულ იქნა პოლიტპატიმრად, რის შემდეგაც მან დატოვა საპატიმრო დაწესებულება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე „შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ მომჩივნის, კაკო შუბითიძის საქმის სასამართლოში განხილვა არ იყო სამართლიანი და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში კაკო შუბითიძის საქმეზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი გამოძიება, დადგინდა სრულიად ახალი ფაქტობრივი გარემოებები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები, რითაც უტყუარად დასტურდება კ.შუბითიძის უდანაშაულობა. ამასთან, საქმეზე ჩატარებული ხელახალი გამოძიებით დადგენილი იქნა, რომ კაკო შუბითიძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივებით და რომ მისი დაკავება სწორედ მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა.

2022 წლის 31 ოქტომბერს საქმეზე გამოტანილი იქნა დადგენილებები კაკო შუბითიძის დაზარალებულად ცნობის, ასევე მის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში უფლების არსებითი დარღვევის ფაქტების დადგენის შესახებ. შესაბამისად პროკურატურა თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგება კაკო შუბითიძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვისა და გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით.

გარდა აღნიშნულისა, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენი იქნა დადგენილი ყოფილი მსჯავრდებულის სიმონ გაბრიელაშვილის მიმართ.



თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის განაჩენით, სიმონ გაბრიელაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10.000 ლარის ოდენობით. იმავე განაჩენით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე ბინა (მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი), როგორც დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მიღებული ქონება. განაჩენი უცვლელად ძალაში დატოვეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა.

იმჟამინდელი ბრალდების თანახმად, 2007 წელს სიმონ გაბრიელაშვილმა დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი – მინდობილობა, რომლის მიხედვით, გარდაცვლილი ა.გ.-ს პირველი რიგის მემკვიდრის მეუღლის ე.გ.-ს მიერ გაბრიელაშვილს მიენიჭა გარკვეული უფლებები, მათ შორის თბილისში, ღოღობერიძის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების განკარგვის უფლება. შედეგად, მან მოტყუებით მოიპოვა ქონებრივი უფლება ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე. ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვისა და მისი ნამდვილი ბუნების შენიღბვის მიზნით, ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულებით, ქონება გააფორმა დ.კ.-ს და თ.რ.-ს სახელზე. შემდგომ პერიოდში, სიმონ გაბრიელაშვილმა, დ.კ.-ის მეშვეობით, ამ უკანასკნელის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება გაცვალა ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე ბინაში და საბოლოოდ მიიღო დიდი ოდენობით სარგებელი.

ახალი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ფარგლებში, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, მათ შორის, უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრე და მისი ნათესავები. ხსენებულმა პირებმა დაადასტურეს 2006 წელს სიმონ გაბრიელაშვილზე უძრავი ქონების გასხვისების, მისგან შესაბამისი საფასურის მიღების ფაქტი და აღნიშნეს, რომ მათ რაიმე სახის პრეტენზია სიმონ გაბრიელაშვილის მიმართ არ გააჩნიათ და არც წარსულში გააჩნდათ. აგრეთვე საქმეზე მოპოვებულ იქნა უტყუარი წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდა გამყიდველისთვის უძრავი ნივთის ღირებულების გადარიცხვის ფაქტი. ამდენად, სიმონ გაბრიელაშვილის მხრიდან უძრავი ქონების შეძენის პროცესში რაიმე ფორმით ჩადენილი თაღლითობის ფაქტი გამოირიცხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება მსჯავრდებულის უფლებების არსებითად დარღვევის შესახებ და სააპელაციო სასამართლოს წარედგინა შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ. შუამდგომლობისა და გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე 2022 წლის 26 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ სიმონ გაბრიელაშვილის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 457 პირი, რომელთაგან 323 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 60. 000.000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 116 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა. დღეის მდგომარეობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით 109 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი. მათგან 42 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი.

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მეზობელმა მეზობელს სანადირო თოფიდან ესროლა



ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიფლავაკეში, მკვლელობა მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მეზობელმა მეზობელი სანადირო თოფით მოკლა. მკვლელობას კი კამათი უძღოდა.

დაჭრილი მამაკაცი კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ ზესტაფონში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა. დაკავებულია 1 პირი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## 17 წლის გოგონამ თვითმკვლელობა ცადა – ვინ არის 35 წლის მამაკაცი, რომელიც მოზარდს „ტიკ ტოკზე“ აბულინგებდა




კიბერბულინგის გამო 17 წლის მოზარდმა თვითმკვლელობა ცადა. „პირველების“ ინფორმაციით, არასრულწლოვანმა იმ ზეწოლას ვერ გაუძლო, რომელიც მის მიმართ სოციალურ ქსელში მიმდინარეობდა.

ირკვევა, რომ ფსიქოლოგიურ ტერორს მოზარდზე 35 წლის მამაკაცი ახდენდა. კიბერმოძალადე გოგონას ფოტოებს აქვეყნებდა და მას სექსმუშაკად მოიხსენიებდა. ასეთ დამცირებას სკოლის მოსწავლის ფსიქიკამ ვერ გაუძლო და გოგონამ დიდი რაოდენობით საძილე წამლები დალია.

როგორ იქცა ყველაზე პოპულარული გასართობი სოციალური ქსელი მოზარდების ბულინგის იარაღად? სქემა მარტივია – ანონიმურ მომხმარებლებს ყალბი გვერდები აქვთ გახსნილი. ისინი ირჩევენ მსხვერპლს, იღებენ ტოკ ტოკზე განთავსებულ მის ფოტოს და შემდეგ იწყება ამ ფოტოზე შტურმი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ტექსტებით.

ბევრი მოზარდი ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ უძლებს და საქმე შესაძლოა ტრაგედიით დასრულდეს. 17 წლის გოგონა, საბედნიეროდ, სუიციდისგან გადაარჩინეს.

## შემზარავი დანაშაული ქარელში – იძებნება 30 წლის მამაკაცი




ქარელის მუნიციპალიტეტში 72 წლის ქალის გაუპატიურების მცდელობისთვის პოლიცია 30 წლის მამაკაცს ისევ ეძებს. სავარაუდო დამნაშავე მეზობელ ქალს, რომელიც მარტო ცხოვრობს, თავს ღამით დაესხა.

გაუპატიურების მცდელობის დროს მსხვერპლი წინააღმდეგობას უწევდა, რის გამოც მოძალადემ მას ფიზიკური დაზიანებები მიაყენა. როგორც დაზარალებული ყვება, თავდამსხმელმა ის მინის ნამსხვრევებზე წააქცია და დაზიანებები სახის არეშიც მიაყენა. დანაშაულის ადგილზე პოლიცია დაზარალებულმა მეზობლების დახმარებით გამთენიისას გამოიძახა. 72 წლის ქალს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

ქარელის მუნიციპალიტეტში მომხდარ შემზარავ დანაშაულზე ძიება გაუპატიურების მცდელობის მუხლით გრძელდება. პოლიციის განყოფილებაში უკვე გამოჰკითხეს დაზარალებული და მისი მეზობლები. მსხვერპლს სხეულის ექსპერტიზა ჩაუტარდა. სავარაუდო დამნაშავის დაკავების მიზნით სამძებრო ღონისძიებები ამ დრომდე გრძელდება.

## სოსო გოგაშვილი: „მაჩხაანელებო, მითხარით, როგორ მოვიქცეთ?!“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი სოსო გოგაშვილი 306-ე საკნიდან მორიგ წერილს ავრცელებს. ყოფილი მაღალჩინოსანი წერს, რომ „ქართული ოცნება“ სოფელ მაჩხაანს უწყლოდ ტოვებს:

– ჩემს სოფელში გავაკეთე საერთო მოხმარებისათვის მეორე ჭაბურღილი, იქ, სადაც ისტორიულად არასდროს ყოფილა წყალი. ამ სოფელში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ პატარ-პატარა ნაკვეთები, უწყლობის გამო ვერ იყენებდნენ და თავი მიანებეს. ამ ადგილს ეწოდება პატარა მთა და წყლის საშუალებით პატარა წალკოტად გადაიქცევა. იცით, რა გააკეთა ჩემზე გაბოროტებულმა „ოცნებამ“? 1.000-ლარიანი ჯარიმა გამოწერა წყაროზე და უნდათ, რომ გაავაუქმო. იმედია, სოფელმა იცის ეს ამბავი. მაჩხაანელებო, მითხარით, როგორ მოვიქცეთ? ალბათ ხელისუფლებამ წყლის პრობლემა მოაგვარა. ეს ფსკერი არ არის, ამის იქით არაფერია. ამას მხოლოდ ღირსებისგან დაცლილი, გაბოროტებული ადამიანი თუ იზამს. ესეც გაივლის, – წერს სოსო გოგაშვილი.

## „დაკავებულია 10-ზე მეტი ნარკოდამნაშავე“

გუშინ დილიდან მასშტაბური სპეცოპერაცია მიმდინარეობს საქართველოს რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ფონიჭალაში, სადაც სამართალდამცველები ერთდროულად რამდენიმე ადგილას არიან მობილიზებული. დაკავებულების შესახებ ჯერჯერობით დაზუსტებული ინფორმაცია არ ვრცელდება.

ჩხრეკენ საცხოვრებელ სახლებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით კი, არსებული ინფორმაციით, 10-ზე მეტი პირია დაკავებული. მათ შორის საქართველოს, რუსეთის და უკრაინის მოქალაქეები. რამდენიმე სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები. დაკავებები ნარკოდანაშაულს უკავშირდება.

– დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს ღონისძიებები. თბილისში, ბათუმსა და სხვადასხვა ქალაქებში. დაკავებულია 10-ზე მეტი ნარკოდამნაშავე და რეალიზატორი. ყველა ის მტკიცეცულება არსებობს საქმეში, ეს ადამიანები არიან დაკავებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე. არსებობს ფარული ვიდეოჩანაწერები, – ამბობს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თემურ კუპატაძე. დაუდასტურებელი ცნობებით, ფონიჭალაში დაკავებული არიან ძმები.

## ზაჰესში ტრაილერი ქალს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა ზაჰესში. ტრაილერი ქვეით ქალს დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, დაშავებული კლინიკაშია გადაყვანილი. მას ფეხის მოტეხილობა აქვს.

შსს-ს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

## რუსთავში ეკლესიასთან მგელმა ქალი დაგლიჯა



რუსთავში მგელმა 77 წლის ქალი დაგლიჯა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს და წერს, რომ შემთხვევა სასაფლაოების ტერიტორიაზე, ეკლესიის მიმდებარედ მოხდა.

დაშავებული ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება გაეწია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

გამოცემის ცნობით, ადგილზე მობილიზებული იყო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები. არსებული ინფორმაციით, აგრესიული მგლის განეიტრალება სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოახერხეს.

## ჩეხეთის პრემიერი: „უკრაინელები იბრძვიან არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის. ჩვენი მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს“



– უკრაინელები იბრძვიან არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის. ჩვენი მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს, – ამის შესახებ უკრაინაში ვიზიტად მყოფმა ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა პეტრ ფიალამ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

ფიალამ სოციალურ ქსელში ფოტო გაავრცელა, სადაც ის და სხვა ოფიციალური პირები კიევში გადაადგილდებიან.

ჩეხეთის პრემიერმა „ტვიტერზე“ კიდევ ერთი ფოტოც გაავრცელა, სადაც ის უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალს ხელს ართმევს.

## გერმანიის მთავრობაში აცხადებენ, რომ „შიმშილის იარაღად“ გამოყენება „ძალიან ამაზრზენია“



გერმანიამ რუსეთის გადაწყვეტილება, შეაჩეროს გაეროს შუამავლობით უკრაინასთან მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებაში მონაწილეობა, დაგმო.

ოფიციალური ბერლინი მოსკოვს შიმშილის იარაღად ქცევაში ადანაშაულებს.

გერმანიის მთავრობის პრესსპიკერმა შტეფენ ჰებეშთლაითმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მარცვლეულის მიწოდების შეჩერებით „შიმშილის, როგორც იარაღის“ გამოყენება „ძალიან ამაზრზენია“.

მან რუსეთს მოუწოდა, განაახლოს მონაწილეობა და განიხილოს შეთანხმების გაგრძელება.

გერმანიის მთავრობის კიდევ ერთი წარმომადგენლის ანდრეა სასეს თქმით კი მარცვლეულის გარიგებამ შვიდ მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული მსოფლიო ბაზრებზე ხელმისაწვდომი გახადა.

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია, იმისათვის, რათა ზღვით ტრანსპორტირების შენარჩუნება უზრუნველვყოთ, – განაცხადა გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა.

მანვე დასძინა, რომ სახმელეთო ტრანსპორტირება გაგრძელდება.

## რუსეთის ერთ-ერთ აეროდრომზე აფეთქება მოხდა. დაზიანებულია სამხედრო ვერტმფრენები



რუსეთში, ფსკოვის ოლქში მდებარე აეროდრომზე მომხდარი აფეთქების შედეგად KA-52 ტიპის ორი სამხედრო ვერტმფრენი განადგურდა, კიდევ ორი კი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ინფორმაციას უკრაინული მედია დაზვერვის მთავარ სამმართველოზე დაყრდნობით ავრცელებს.

დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, შედეგების აღმოსაფხვრელად და „დივერსიული ჯგუფების“ აღმოჩენის მიზნით სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობა საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს.

სხვა ტექნიკისა და პერსონალის განადგურების დეტალები ზუსტდება. დაზვერვის ინფორმაციით, ერთი ერთეული Ka-52-ის ღირებულება დაახლოებით 16 მილიონი აშშ დოლარია.

## რუსების სარაკეტო თავდასხმის შედეგად უკრაინაში 13 ადამიანი დაშავდა

– უკრაინის მშვიდობიან ქალაქებსა და რეგიონებზე რუსი ოკუპანტების მიერ განხორციელებული მასობრივი თავდასხმის შედეგად 13-მა ადამიანმა სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო, – ამის შესახებ უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსმა იგორ კლიმენკომ განაცხადა.

– ამ დროისთვის გვყავს რუსეთის ფედერაციის მიერ დღეს განხორციელებული თავდასხმების შედეგად დაშავებული 13 ადამიანი. რა თქმა უნდა, უსაფრთხოების სამსახურსა და პროკურატურასთან ერთად დავადგენთ დანაკარგებს და დავაფიქსირებთ იმ დანაშაულებს, რომლებიც დღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაიდინეს, – განაცხადა კლიმენკომ.

რუსულმა ძალებმა კიევის ქალაქები გუშინ დილით ისევ დაბომბეს. მათი მთავარი სამიზნე კვლავ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტები გახდა. უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის განცხადებით, ოკუპანტებმა უკრაინის 10 რეგიონში 18 ობიექტს დაარტყეს.

## ვლადიმერ პუტინი: „ყარაბაღის კონფლიქტი ოდესღაც უნდა დასრულდეს. ნიკოლ ფაშინიანს ამის პოლიტიკური ნება აქვს“



– ყარაბაღის კონფლიქტი ოდესღაც უნდა დასრულდეს. სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს ამის პოლიტიკური ნება აქვს, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ნიკოლ ფაშინიანთან შეხვედრაზე განაცხადა.

მან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიდერების რამდენიმე დღის წინ გამართულ ონლაინშეხვედრაზე ისაუბრა.

– ჩვენ ვხედავთ ჩვენი კოლეგების მიდგომას იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე და ყარაბაღის გარშემო. ეს კონფლიქტი უკვე ათობით წელია გრძელდება. ასე რომ, ოდესღაც უნდა დასრულდეს. ეთანხმებით ამას? ვიცი, რომ თქვენ გაქვთ ამის პოლიტიკური ნება და ჩვენ მას ყველანაირად ვუჭერთ მხარს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ახლა და შემდეგ სამმხრივ ფორმატში უნდა ვიპოვოთ ის ძირითადი მომენტები, რომლებიც მოგვცემს წინსვლის საშუალებას, – განაცხადა რუსეთის ლიდერმა. სოჭში ვლადიმერ პუტინისა და ნიკოლ ფაშინიანის შეხვედრა გაიმართა. სოჭში რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების სამმხრივი შეხვედრაც გაიმართება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## ყველაზე დაუბანელი ადამიანი ბანაობიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა



ირანელი განდეგილი, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ბინძური ადამიანი უწოდეს, იმის გამო, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე არ უბანავია, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ამუ ხაჯი ქვეყნის სამხრეთ პროვინცია ფარსის სოფელ დეიგში 23 ოქტომბერს გარდაიცვალა. ერთიანად ჭუჭყით დაფარულ და მიწურში მცხოვრებ მამაკაცს 60-ზე მეტი წლის განმავლობაში არც წყლით და, მით უმეტეს, არც საპნით არ უბანავია. სოფლის მცხოვრებთა თქმით, მან ახალგაზრდობაში ემოციური წარუმატებლობა გადაიტანა და სწორედ მას შემდეგ თქვა უარი ბანაობაზე. ერთხელ ადგილობრივებმა ის მდინარეზე წაიყვანეს დასაბანად, მაგრამ როგორც კი მიხვდა, თუ რას უპირებდნენ, მანქანიდან გადახტა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ხაჯი ჭამდა გზისპირებზე ნაპოვნ ნარჩენებს, ეწეოდა ცხოველების ექსკრემენტებით დატენილ ჩიბუხს და თვლიდა, რომ სისუფთავეს ავადმყოფობა მოჰქონდა. და მაინც, რამდენიმე თვის წინ თანასოფლელებმა ის მაინც დაიყოლიეს ბანაობაზე.

ხაჯის გარდაცვალების შემდეგ მსოფლიოში ყველაზე ბინძური ადამიანის არაოფიციალური რეკორდსმენი შესაძლოა ინდოელს ერგოს, რომელსაც თავისი ცხოვრების უმეტეს დროს არ უბანავია. კაილაშ „კალაუ“ სინგხმა „კეთილი საქმისთვის“ 22 წლის ასაკიდან უარი თქვა დაბანაზე. 40 წლის ასაკში კი დაიფიცა, რომ მანამდე არ აპირებს ბანაობას, სანამ დედამიწაზე არ შეწყდება დანაშაულებები ქალების წინააღმდეგ, ტერიტორიული კონფლიქტები და ცხოველების დახოცვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

### სპორტი

## საჩემპიონო ბრძოლა დაიძაბა



**დინამო (თბ)-საბურთალო 3:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 სიხარულიძე (20) 1:1, 2:1 კამარა (24, 50), 3:1 მოისწრაფიშვილი (57)

**დინამო:** კუტალაძე, მალი, ხვადაგიანი, მექვაბიშვილი (კუცია 75), იმრანი, სხირტლაძე (ბილენკი 60), მოისწრაფიშვილი (სიგუა 60), ტაბიძე, თ.კირკიტაძე (პარკაძე 70), კობოური, კამარა (ოდიშარია 70)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, მამაცაშვილი, ჯგერენაია, ი.ტაბატაძე (ამბროსიძე 84), ქარდავა, გოშთელიანი, ლ.ნონიკაშვილი (გ.მამაგეიშვილი 73), კაკუბავა (ჯინჯოლავა 67), პარუნაშვილი (ტალახაძე 73), სიხარულიძე, გოჩოლეიშვილი

დედაქალაქურ დერბიში დინამო საბურთალოსთან აგებდა, მაგრამ 3:1 გაიმარჯვა და ლიდერად დარჩა.

პირველი ტაიმის შუაში გავიდა ორი გოლი. ჯერ ირაკლი სიხარულიძემ თავურით დააწინაურა საბურთალო და თავისთვის სეზონში მე-12 გოლი მიითვალა; მალევე უსმანე კამარამ ლამაზი კომბინაციის შემდეგ გაათანაბრა – 1:1.

მეორე ტაიმის პირველ წუთებზე კამარამ საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა დინამოელები... 57-ე წუთზე კი გიორგი მოისწრაფიშვილმა კარგად დაამუშავა ბურთი, წინ გამოსულ მეკარეს დაასწრო და ანგარიში 3:1 გახადა.

მოისწრაფიშვილის გოლამდე ერთი წუთით ადრე საბურთალო 10 კაცით დარჩა, რადგან გურამ გოშთელიანმა რამდენიმეწამიან მონაკვეთში ორი გაფრთხილება მიიღო და გააძევეს: ჯერ არბიტრის ასისტენტის გადაწყვეტილება გააპროტესტა, შემდეგ – მთავარი არბიტრის.

საბურთალო მეექვსე ადგილზეა. შეგახსენებთ, დინამო თბილისი და საბურთალოც საქართველოს თასის ნახევარფინალში არიან გასული, ანუ თემურ შალამბერიძის გუნდს თასის გზიდანაც შეუძლია ევროტურნირებზე გასვლა.

და კიდევ, ამ მატჩზე მოქმედებდა ვარ-ის სისტემა. ვიდეომსაჯი გახლდათ ირაკლი კვირიკაშვილი, ხოლო ასისტენტი – დავით ჩიგოგიძე.

**დინამო (ბთ)-ლოკომოტივი 4:2**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ჯოვინო (14), 2:0 (მამუჩაშვილი 36პ), 2:1 კახაბრიშვილი (48), 3:1 ტეიდი (65), 4:1 პირტახია (82სკ), 4:2 დიასამიძე (90)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი, აზაცკი, ფანცულაია (ვაწაძე 70), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, მ.კობახიძე (რეხვიაშვილი 85), რადინი (ბიძინაშვილი 70), ღუდუშაური, ჩაბრაძე (ნავალოვსკი 81), ჯოვინო (ზარია 81)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, ანდრონიკაშვილი, შეყილაძე (ომარაშვილი 71), კეკელიძე (აბდულაჰი 46), ჭიაბრიშვილი (დიასამიძე 46), პირტახია, ძებნიაური, გაბაძე, კახაბრიშვილი, იაშვილი, უბილავა (ქველაძე 84)

ბათუმის დინამომ ექვსგოლიან აუტსაიდერ ლოკომოტივს 4:2 სძლია. ახლა ზღვისპირელები ისევ მეორე ადგილზე არიან და ისევ ორი ქულით ჩამორჩებიან ლიდერ თბილისის დინამოს.

ლოკომოტივთან პირველი გოლი ჯოვინოსი იყო – მოზომილი დარტყმით გაიტანა. ეს ფლამარიონის მე-17 გოლია მიმდინარე ლიგაში და ჯერჯერობით ბომბარდირთა დავაში პირველია. ჯოვინო 4 გოლით უსწრებს სამგურალის შემტევ ირაკლი რუხაძეს. პირველივე ტაიმში ვლადიმერ მამუჩაშვილმა პენალტი გამოიყენა და 2:0...

მეორე ტაიმის პირველივე წუთებზე ლოკომოტივმა სხვაობა შეამცირა, კერძოდ, კახა კახაბრიშვილმა შორიდან ლამაზი დარტყმით გაიტანა.

65-ე წუთზე ბათუმელთა საყრდენმა ბენჟამინ ტეიდმა თავურით ისევ ორბურთიანი გახადა სხვაობა. შემდეგ ლოკოს მცველ გიორგი პირტახიას საკუთარ კარში აეჭრა ბურთი და 4:1... ბოლო წუთებზე კი თბილისელთა ნახევარმცველმა გიორგი დიასამიძემ გაიტანა – 4:2. ეს დიასამიძის პირველი გოლია მიმდინარე სეზონში.

**ტორპედო-თელავი 1:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 პავიშიჩი (25სკ)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, ნადარაია, გიგაური (აბულაძე 90), გ.კუხიანიძე, მანჯგალაძე (ცინცაძე 74), სანდოხაძე, არაბიძე (შულაია 61), გეგეჭკორი, ბუღრიძე (ნ.ქავთარაძე 61), ახვლედიანი (კაბალიერო 61)

**თელავი:** თანდილაშვილი, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (პარკინაშვილი 78), ვიტინიო, პავიშიჩი (გიგაშვილი 78), ჯიქია, ქოჩლაძე (ყაველაშვილი 61), კვერნაძე (კოხრეიძე 72), მუჯირი (ბ.ქავთარაძე 46)

ქუთაისელებმა ზესტაფონის სტადიონზე 1:0 მოუგეს თელავს და მეოთხე ადგილზე არიან. პლუს, ტორპედო თასის ნახევარფინალშიცაა.

ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე გავიდა: ირაკლი ბუღრიძის აქტიურობას მოჰყვა თელაველთა საყრდენის, სტრაჰინია პავიშიჩის ავტოგოლი. თელაველები მეშვიდე ადგილზე რჩებიან.

**სიონი-დილა 1:2**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 მოსიაშვილი (29), 1:1 ფოცხვერია (45პ), 1:2 გომისი (77)

დილამ ორი მარცხის მერე მოგების გემო გაიხსენა – სტუმრად სიონს 2:1 სძლია. პირველ ტაიმში გორელები ცოტნე მოსიაშვილმა დააწინაურა შორიდან გატანილი ლამაზი გოლით... მოსიაშვილმა გამარჯვების გოლშიც მიიღო მონაწილეობა – 77-ე წუთზე სენეგალელმა ონორე გომისმა მისი პასით შეაგდო.

ამ გოლებს შორის სიონმა გაათანაბრა – პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ივან ფოცხვერიამ პენალტი ზუსტად დაჰკრა.

დილა მეოთხე ადგილზეა, ხოლო სიონი – მერვეზე. ბოლნისელებს 9 ტურია, არ მოუგიათ, ბოლოს სწორედ დილას სძლიეს სტუმრად (2:1).

**გაგრა-სამგურალი 1:1**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 ფარულავა (71), 1:1 ჯერალდო (85პ)

თბილისის დინამო არენაზე გაგრა სამგურალს შეხვდა და ახლოს იყო გამარჯვებასთან, თუმცა საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა.

გაგრა 71-ე წუთზე ოთარ ფარულავამ შორეული დარტყმით დააწინაურა. 85-ეზე კი წყალტუბოელთა ბრაზილიელმა შემტევმა ჯეფერსონ ჯერალდომ პენალტით გაათანაბრა. ეს ჯერალდოს მეშვიდე გოლია სეზონში და აქედან 3 გაგრას გაუტანა. პენალტის ეპიზოდში გაგრელთა ფეხბურთელი გიორგი გვიშიანიც ხელით თამაშისთვის გააძევეს...

გაგრა ბოლოსწინა ადგილზე დარჩა, ხოლო სამგურალი მესამე პოზიციაზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 32 | 22 | 6 | 4 | 67-26 | 72 |
| 2.დინამო (ბთ) | 32 | 21 | 7 | 4 | 78-29 | 70 |
| 3.სამგურალი | 32 | 14 | 10 | 8 | 50-37 | 52 |
| 4.ტორპედო | 32 | 14 | 7 | 11 | 41-43 | 49 |
| 5.დილა | 32 | 14 | 7 | 11 | 41-34 | 49 |
| 6.საბურთალო | 32 | 12 | 8 | 12 | 50-45 | 44 |
| 7.თელავი | 32 | 7 | 13 | 12 | 26-32 | 34 |
| 8.გაგრა | 32 | 7 | 9 | 16 | 31-50 | 30 |
| 9.სიონი | 32 | 6 | 12 | 14 | 31-53 | 30 |
| 10.ლოკომოტივი | 32 | 1 | 5 | 26 | 26-92 | 8 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### საზოგადოება

## მგალობელთა გუნდს სახელმწიფო გუნდის სტატუსი ენიჭება



საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ვატიკანში წარმატების შემდეგ, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს სახელმწიფო სტატუსი ენიჭება და მას „საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდი“ ეწოდება.

სსიპ საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში ილვაწებს.

კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ხალხური ხელოვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და დარგის პოპულარიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი კი ხელს შეუწყობს გუნდისთვის სათანადო პირობების შექმნას ზემოაღნიშნული მიზნების უკეთ განსახორციელებლად.

კულტურის სამინისტრო აქამდეც აქტიურად უჭერდა მხარს გუნდის მგალობლებს, მათ შემოქმედებით განვითარებასა და წარმატებას. კერძოდ, მიმდინარე წელს. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივით, კულტურის სამინისტროს ძალისხმევითა და საქართველოში ვატიკანის ელჩის აქტიური მხარდაჭერით, სვიმონ ჯანგულაშვილისა და გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი ვატიკანში გაემგზავრა. ამ ვიზიტის ფარგლებში, პირველად საქართველოს ისტორიაში, სიქსტის კაპელაში ქართველი მგალობლების კონცერტი გაიმართა. გუნდმა ქართული საგალობლებისა და მრავალხმიანობის 20-მდე უნიკალური ნიმუში შეასრულა, ხოლო წმინდა პეტრეს ტაძარში, მას შემდეგ, რაც რომის პაპმა ფრანცისკემ პეტრეპავლობის დღესასწაულთან დაკავშირებით მესა აღავლინა, ქართველმა მგალობლებმა სოლისტ იანო ალიბეგაშვილთან ერთად შეასრულეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის „ავე მარია“. კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია მთელ მსოფლიოში გადაიცემოდა. წმინდა პეტრეს ტაძარში შესრულდა ქართული საგალობლებიც. ამ ვიზიტისას გუნდის ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო, პროტოკოლური და ფინანსური საკითხები კულტურის სამინისტრომ უზრუნველყო.

იმავე პროექტის ფარგლებში, ვატიკანში გამგზავრებამდე კულტურის სამინისტრომ მგალობელთა გუნდის 38 წევრისთვის შეიძინა სასცენო სამოსი და აქსესუარები. ამისთვის პროექტისთვის სამინისტრომ 267.452 ლარი გამოყო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# სპილოების ჯოგი სპლიყვის მოკვლისთვის შურის საძიებლად სოფელში შეიჭრა



ინდოეთის ჩხატისგარხის შტატის ქალაქ კორბას მახლობლად მდებარე სოფელში სპილოების ჯოგი შეიჭრა, რისი მიზეზიც ერთი წლის სპლიყვის მოკვლა გახდა.

44 სპილო შევიდა სოფელში და ფეხებით გასრისა პიტავარა სინგხი, რომელიც საქონელს მწყემსავდა. მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა. გარდა ამისა, ცხოველების ჯოგი ორი დღის განმავლობაში ანადგურებდა მოსახლეობის ნათესებს თითქმის ცხრა ჰექტარის ტერიტორიაზე.

ფერმაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღმოაჩინა სპლიყვის ლეში, რომელიც მიწაში იყო ჩაფლული და ზევიდან ფოთლები ჰქონდა გადაფარებული. ფერმის მფლობელი დააკავეს. უცნობია, ჰქონდა თუ არა მას უშუალო კავშირი სპლიყვის მკვლელობასთან.

— ეჭვგარეშეა, რომ სპილოების ჯოგმა სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა ადამიანთან მიმართებით, რომელმაც მათი სპლიყვი მოკლეს. ისინი ეძებდნენ მას ან მის მახლობლად მყოფ ადამიანებს, რათა მათზე შური ეძიათ, — განაცხადა აზიური სპილოების გადარჩენის საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელმა დუნკან მაკნეირმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კავკასიამ თსუ-ს ისევ მოუგო

### კაკტუსი-ბათუმი 89:78
### (17:13, 23:25, 19:19, 30:21)

კაკტუსმა, რუსთავის მსგავსად, მიმდინარე სუპერლიგაში მეორე მატჩი მოიგო, ხოლო ბათუმმა პირველი მატჩი გამართა, რადგან წინა ტურში, ნაცვლად სუპერლიგისა, საქართველოს სუპერთასის თამაში მოუწია, სადაც ქუთაისი დამაჯერებელი სხვაობით დაამარცხა და ოთარ ქორქიას სახელობის თასი დაისაკუთრა.

კაკტუსსა და ბათუმს შორის მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი მეოთხედი თბილისელების გამარჯვებით, 17:13 დასრულდა, რასაც ბათუმისგან საპასუხოდ მოგებული მეორე პერიოდი (23:25) მოჰყვა. შესაბამისად, გუნდები შესვენებაზე მინიმალური, 2-ქულიანი სხვაობით გავიდნენ.

მესამე მეოთხედი თანაბარი გამოდგა და ოპონენტებმა 19-19 ქულის ჩაგდება მოახერხეს. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო პერიოდში გახდა ცნობილი, რომელიც 30:21 დასრულდა და ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ თამაშის მიმდინარეობისას ბათუმურ გუნდს 2-ქულიანების სროლის უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა (49%) – 37-დან 18, კაკტუსისთვის გამარჯვების მომტანი უკეთ შესრულებული სამქულიანები და საჯარიმო ტყორცნები აღმოჩნდა. გამარჯვებულმა გუნდმა 30-დან 11 სამქულიანისა და 24-დან 18 საჯარიმო სროლის გამოყენება მოახერხა, მაშინ როცა მათმა მეტოქემ წარმატებით მხოლოდ 16-დან 5 სამქულიანი და 38-დან 27 საჯარიმო სროლა ჩააგდო.



კაკტუსის რიგებში 20 ქულით საუკეთესო შედეგი რაიან ალენს ჰქონდა, რომელმაც მოედანზე 35 წუთი დაჰყო და ქულებთან ერთად გუნდს 7-7 მოხსნა და პასი შემატა. მასთან ერთად უნდა აღინიშნოს საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელ მერაბ ბოქოლიშვილის თამაში, რომელმაც 14 ქულა მიითვალა. 12-12 ქულით გამოირჩნენ ვახტანგ გაფრინდაშვილი და ბექა ლომაშვილი.

რაც შეეხება ბათუმს, 21 ქულით ამერიკელი ლეგიონერი კაილი რიდლი გამოირჩა, რომელსაც 3-ქულიანების სროლის 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა. 14 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა საბა ლობჯანიძემ, 12 ქულა კი მოედანზე ახლადდაბრუნებული სანდრო სანაძის ანგარიშზეა.

### თსუ-კავკასია 61:71
### (11:14, 18:20, 21:22, 11:15)

სტუდენტთა დაგეგმილი რევანში არ შედგა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა სუპერლიგის დებიუტანტ კავკასიასთან ისევ წააგო. პირველად ეს დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში მოხდა. თსუ-ს სარევანშოდ სუპერლიგის მე-2 ტურის მატჩი ჰქონდა, მაგრამ გამარჯვება კვლავ ვერ მოახერხა.

ამის უმთავრესი მიზეზი არასრული შემადგენლობა იყო – უნივერსიტეტელებმა სხვადასხვა მიზეზის გამო 4 კალათბურთელი მოისაკლისეს – ნოდარ გოგოძე, გიორგი ცინცაძე, ივანე მეგენეიშვილი და ლუკა მამლიკიძე. სათქმელია, რომ, თავის მხრივ, კავკასიელებსაც აკლდათ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე – ლევან ქვარცხავა და ბექა წივწივაძის გაწვრთნილი გუნდისთვის გამარჯვება იოლად არ მოსულა.

თსუ-მ, რომელიც თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა, ბოლომდე იბრძოლა და მოგების შანსს ბოლოსწინა წუთამდე ინარჩუნებდა, მაგრამ კავკასიამ თავისი გაიტანა. საკვანძო სამქულიანი ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა ჩააგდო, რომელმაც ტრავმის შემდეგ ფორმა ნაწილობრივ აღიდგინა და ლევან გოგიჩაიშვილთან ერთად თავის გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დიდად დაეხმარა.

ცალკე თემაა კავკასიას ლეგიონერები: კრის მაკნილი და ჯასტინ ფორესტი გუნდის მამოძრავებელ მოტორის ფუნქციას ერთად ასრულებდნენ. აიზია ელისმა კი, მართალია, მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო, მაგრამ 11 მოხსნით ილია ლონდარიძესთან ერთად კავკასიელებს ფარქვეშ დიდი დახმარება გაუწია. საბოლოოდ შეხვედრა 71:61 დასრულდა.

# შედეგები

## 30 ოქტომბერი

### ფეხბურთი

#### ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ნოტინგემი ........................ 5:0
მანჩესტერი-ვესტ ჰემი ........................ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 12 | 10 | 1 | 1 | 30-11 | 31 |
| 2.სიტი | 12 | 9 | 2 | 1 | 37-11 | 29 |
| 3.ტოტენჰემი | 13 | 8 | 2 | 3 | 26-16 | 26 |
| 4.ნიუკასლი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-10 | 24 |
| 5.მანჩესტერი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-16 | 23 |
| 6.ჩელსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-15 | 21 |
| 7.ფულემი | 13 | 5 | 4 | 4 | 22-22 | 19 |
| 8.ბრაიტონი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-15 | 18 |
| 9.ლივერპული | 12 | 4 | 4 | 4 | 23-15 | 16 |
| 10.კრ.პალასი | 12 | 4 | 4 | 4 | 13-16 | 16 |
| 11.ბრენტფორდი | 13 | 3 | 6 | 4 | 19-22 | 15 |
| 12.ვესტ ჰემი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-13 | 14 |
| 13.ევერტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-12 | 14 |
| 14.ბორნმუთი | 13 | 3 | 4 | 6 | 12-28 | 13 |
| 15.ლიდსი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-19 | 12 |
| 16.ასტონ ვილა | 13 | 3 | 3 | 7 | 11-20 | 12 |
| 17.საუთჰემპტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 11-20 | 12 |
| 18.ლესტერი | 13 | 3 | 2 | 8 | 21-25 | 11 |
| 19.ვულვზი | 13 | 2 | 4 | 7 | 6-19 | 10 |
| 20.ნოტინგემი | 13 | 2 | 3 | 8 | 8-28 | 9 |

#### გერმანია. ბუნდესლიგა

უნიონი-გლადბახი ........................ 2:1
შალკე-ფრაიბურგი ........................ 0:2
კიოლნი-ჰოფენჰაიმი ........................ 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 12 | 8 | 2 | 2 | 21-9 | 26 |
| 2.ბაიერნი | 12 | 7 | 4 | 1 | 38-10 | 25 |
| 3.ფრაიბურგი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-13 | 24 |
| 4.დორტმუნდი | 12 | 7 | 1 | 4 | 20-15 | 22 |
| 5.აინტრახტი | 12 | 6 | 2 | 4 | 25-20 | 20 |
| 6.ლაიფციგი | 12 | 5 | 4 | 3 | 22-18 | 19 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-13 | 18 |
| 8.ვერდერი | 12 | 5 | 3 | 4 | 21-18 | 18 |
| 9.მაინცი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-19 | 18 |
| 10.კიოლნი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-23 | 17 |
| 11.გლადბახი | 12 | 4 | 4 | 4 | 20-19 | 16 |
| 12.ვოლფსბურგი | 12 | 3 | 5 | 4 | 17-19 | 14 |
| 13.აუგსბურგი | 12 | 4 | 2 | 6 | 15-21 | 14 |
| 14.ჰერტა | 12 | 2 | 5 | 5 | 14-17 | 11 |
| 15.შტუტგარტი | 12 | 2 | 5 | 5 | 15-21 | 11 |
| 16.ლევერკუზენი | 12 | 2 | 3 | 7 | 16-25 | 9 |
| 17.ბოხუმი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-32 | 7 |
| 18.შალკე | 12 | 1 | 3 | 8 | 11-26 | 6 |

#### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-კარლსრუე ........................ 1:0
ზანდჰაუზენი-ბრაუნშვაიგი ........................ 2:2
პადერბორნი-ჰამბურგი ........................ 2:3

#### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ოსასუნა-ვალიადოლიდი ........................ 2:0
რეალი-ხირონა ........................ 1:1
ბილბაო-ვილიარეალი ........................ 1:0
სოსიედადი-ბეტისი ........................ 0:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 11 | 1 | 0 | 29-10 | 32 |
| 2.ბარსელონა | 12 | 10 | 1 | 1 | 29-4 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 12 | 7 | 2 | 3 | 20-12 | 23 |
| 4.ბეტისი | 12 | 7 | 2 | 3 | 16-8 | 23 |
| 5.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 16-15 | 22 |
| 6.ბილბაო | 12 | 6 | 3 | 3 | 20-12 | 21 |
| 7.ოსასუნა | 12 | 6 | 2 | 4 | 13-11 | 20 |
| 8.ვილიარეალი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-8 | 18 |
| 9.რაიო | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 10.ვალენსია | 12 | 4 | 3 | 5 | 18-14 | 15 |
| 11.ვალიადოლიდი | 12 | 4 | 2 | 7 | 11-17 | 14 |
| 12.მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-13 | 13 |
| 13.ალმერია | 12 | 4 | 1 | 7 | 15-20 | 13 |
| 14.ესპანიოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 15-20 | 11 |
| 15.სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 13-24 | 11 |
| 16.ხირონა | 12 | 2 | 4 | 6 | 16-20 | 10 |
| 17.სევილია | 12 | 2 | 4 | 6 | 11-19 | 10 |
| 18.ხეტაფე | 11 | 2 | 4 | 5 | 11-19 | 10 |
| 19.კადისი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-24 | 10 |
| 20.ელჩე | 11 | 0 | 4 | 7 | 8-26 | 4 |

#### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-მირანდესი ........................ 0:0
მალაგა-ეიბარი ........................ 0:1
კარტახენა-გრანადა ........................ 0:0
ალბასეტე-ვილიარეალი ბ ........................ 0:0

#### იტალია. სერია ა

ემპოლი-ატალანტა ........................ 0:2
კრემონეზე-უდინეზე ........................ 0:0
სპეცია-ფიორენტინა ........................ 1:2
ლაციო-სალერნიტანა ........................ 1:3
ტორინო-მილანი ........................ 2:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 12 | 10 | 2 | 0 | 30-9 | 32 |
| 2.ატალანტა | 12 | 8 | 3 | 1 | 18-8 | 27 |
| 3.მილანი | 12 | 8 | 2 | 2 | 25-13 | 26 |
| 4.ლაციო | 12 | 7 | 3 | 2 | 24-8 | 24 |
| 5.ინტერი | 12 | 8 | 0 | 4 | 25-17 | 24 |
| 6.იუვენტუსი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-7 | 22 |
| 7.რომა | 11 | 7 | 1 | 3 | 13-10 | 22 |
| 8.უდინეზე | 12 | 6 | 4 | 2 | 20-12 | 22 |
| 9.ტორინო | 12 | 5 | 2 | 5 | 12-14 | 17 |
| 10.სალერნიტანა | 12 | 4 | 4 | 4 | 16-17 | 16 |
| 11.სასუოლო | 12 | 4 | 3 | 5 | 14-17 | 15 |
| 12.ფიორენტინა | 12 | 3 | 4 | 5 | 13-17 | 13 |
| 13.ემპოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 9-17 | 11 |
| 14.ბოლონია | 11 | 2 | 4 | 5 | 12-17 | 10 |
| 15.მონცა | 11 | 3 | 1 | 7 | 10-19 | 10 |
| 16.სპეცია | 12 | 2 | 3 | 7 | 10-22 | 9 |
| 17.ლეჩე | 12 | 1 | 5 | 6 | 9-15 | 8 |
| 18.სამპდორია | 12 | 1 | 3 | 8 | 6-21 | 6 |
| 19.ვერონა | 11 | 1 | 2 | 8 | 10-21 | 5 |
| 20.კრემონეზე | 12 | 0 | 5 | 7 | 9-22 | 5 |

#### იტალია. სერია ბ

პერუჯა-ჩიტადელა ........................ 0:2

#### საფრანგეთი. ლიგა 1

ოსერი-აიაჩო ........................ 1:0
ბრესტი-რეიმსი ........................ 0:0
მონაკო-ანჟე ........................ 2:0
ნანტი-კლერმონი ........................ 1:1
რენი-მონპელიე ........................ 3:0
ლორიანი-ნიცა ........................ 1:2
ლიონი-ლილი ........................ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 36-8 | 35 |
| 2.ლანსი | 13 | 9 | 3 | 1 | 22-8 | 30 |
| 3.ლორიანი | 13 | 8 | 3 | 2 | 24-18 | 27 |
| 4.რენი | 13 | 8 | 3 | 2 | 28-12 | 27 |
| 5.მარსელი | 13 | 7 | 3 | 3 | 22-11 | 24 |
| 6.მონაკო | 13 | 7 | 3 | 3 | 25-18 | 24 |
| 7.ლილი | 13 | 7 | 1 | 5 | 25-22 | 22 |
| 8.ლიონი | 13 | 6 | 2 | 5 | 21-16 | 20 |
| 9.კლერმონი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-20 | 18 |
| 10.ნიცა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-16 | 16 |
| 11.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-23 | 16 |
| 12.ტრუა | 13 | 3 | 4 | 6 | 24-28 | 13 |
| 13.რეიმსი | 13 | 2 | 7 | 4 | 14-20 | 13 |
| 14.მონპელიე | 13 | 4 | 0 | 9 | 22-27 | 12 |
| 15.ნანტი | 13 | 2 | 6 | 5 | 15-21 | 12 |
| 16.ოსერი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-25 | 12 |
| 17.სტრასბური | 13 | 1 | 7 | 5 | 15-22 | 10 |
| 18.ბრესტი | 13 | 2 | 4 | 7 | 14-26 | 10 |
| 19.აიაჩო | 13 | 2 | 2 | 9 | 7-20 | 8 |
| 20.ანჟე | 13 | 2 | 2 | 9 | 14-31 | 8 |

#### ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ემენი-გრონინგენი ........................ 0:0
პსვ-ნაიმეგენი ........................ 3:0
ტვენტე-ვალვაიკი ........................ 3:0
ალკმაარი-ვოლენდამი ........................ 2:1

#### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბოავიშტა-ვიზელა ........................ 2:2
პორტიმონენშე-ეშტორილი ........................ 1:1
კასა პია-რიუ ავე ........................ 1:0
ჟილ ვისენტე-ბრაგა ........................ 0:1

#### ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-ეუპენი ........................ 4:2
სერენი-სენ ჟილუა ........................ 1:2
ლეუვენი-გენტი ........................ 1:1
შარლერუა-ანტვერპენი ........................ 1:0

#### ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-ალტახი ........................ 2:1
ლინცერი-ვოლფსბერგერი ........................ 4:1
შტურმი-რიდი ........................ 2:1

**შტურმის მეორე გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა**

#### შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-სელტიკი ........................ 0:3
როსი-ჰართსი ........................ 1:2

#### თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ჰატაი ........................ 4:1

**ანკარაგიუჯიუს პირველი გოლი გიორგი ბერიძემ გაიტანა**

ბეშიქთაში-უმრანი ........................ 5:2
ქაისერი-ადანა ........................ 2:2
ისთანბული-ფენერბახჩე ........................ 2:5

#### საბერძნეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-ლამია ........................ 2:0
ლევადიაკოსი-ატრომიტოსი ........................ 2:1
აეკი-პაოკი ........................ 2:0
არისი-ოფი ........................ 1:1

#### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-ციურიხი ........................ 0:1
ვინთენთური-სტ.გალენი ........................ 1:0
იანგ ბოიზი-ბაზელი ........................ 3:1

#### ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-სლავია ........................ 1:4
ბრნო-ლიბერეცი ........................ 3:0
ტეპლიცე-სიგმა ........................ 2:1

#### პოლონეთი. ეკსტრაკლასა

ზაგლებიე-კრაკოვია ........................ 0:2
ლეხია-სტალი ........................ 1:0
ლეხი-ჩენსტოხოვა ........................ 1:2

#### უკრაინა. პრემიერლიგა

დნიპრო-ჩერნომორეცი ........................ 1:0
ლვოვი-მეტალისტი ........................ 1:1
დინამო-კრივბასი ........................ 3:1

#### დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ორხუსი ........................ 0:1
სილკებორგი-ვიბორგი ........................ 1:2
ბრონდბიუ-ოლბორგი ........................ 3:2

#### შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-ჰაკენი ........................ 0:4
მილაბი-აიკი ........................ 1:2
სუნდსვალი-სირიუსი ........................ 2:3
ვარბერგი-მალმიო ........................ 2:5
ჰამარბი-კალმარი ........................ 4:2

#### ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნი-ალესუნდი ........................ 4:0
ლილესტრიომი-ოდი ........................ 0:2
რუსენბორგი-ბოდო ........................ 3:2
სანდერფიორდი-ჰამკამი ........................ 1:2
ტრომსო-ერვი ........................ 2:2
ვიკინგი-მიოლდე ........................ 1:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ





**შვეულად:** 1. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 2. უბანი თბილისში; 3. რეცეპტისპირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს თან ახლავს; 4. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. წყალი მყარ მდგომარეობაში; 11. მხატვრულ ფილმ „უძინართა მზის“ რეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. იტალიური რესტორანი; 16. ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 23. ხელოვნების მუზეუმი მილანში.

**თარაზულად:** 6. რომელიმე ენის ფორმების შემსწავლელი გრამატიკის ნაწილი; 7. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. სასტუმრო თბილისში; 9. ქართველი შტანგისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სათავო ოფისი; 22. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 24. ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 25. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 26. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყაზარმა; 2. შარლატანი; 3. ბარაკონი; 4. წერაქვი; 5. შოპენი; 9. სკეტჩი; 11. კარმენი; 12. კომბლე; 14. როკფორი; 18. აშული; 19. პეპსი.

**თარაზულად:** 4. წულაძე; 5. შორაპანი; 6. მალტა; 7. პრიკაზი; 8. გლაქსო; 10. ნაიკი; 13. მარინა; 15. ტოლედო; 16. ნომი; 17. ლიდა; 20. ფუჟერი; 21. ბედეგი; 22. წაღვერი; 23. სუძუკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ისტვუდი; 2. ჩოქბჯენი; 3. ფილატელია; 4. ამერიკა; 5. გინეკოლოგი; 10. ქორალი; 11. კოსტიოლი; 12. მუხიანი; 13. არეშიძე; 16. გალაქტიკა; 17. ზელენსკი; 19. არბალეტი; 21. ფლუსი; 23. პორშე.

**თარაზულად:** 6. ქსენოფობია; 7. ამტყელი; 8. დურუჯი; 9; სტეინიცი; 14. არსენალი; 15. ციხისძირი; 18. მალტა; 20. ვერმელი; 22. რეპლიკა; 24. ალმაზა; 25. ვილნიუსი; 26. ჰაშეკი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 ნოემბერი

აშშ დოლარი — 2.7754

ევრო — 2.7557

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2009

100 რუსული რუბლი — 4.4853

**ამინდის პროგნოზი 1 ნოემბრისათვის**




## ანჩელოტი: „მსაჯის შეცდომის გამო ვერ მოვიგეთ“



მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე ჟირონასთან ქულები დაკარგა და ბარსელონასთან ქულათა სხვაობა მხოლოდ ერთი ქულაა. მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თქვა, რომ რეალის კარში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო და მსაჯმა შეცდომა დაუშვა: „პენალტის ეპიზოდი კიდევ ერთხელ ვნახე და ვთვლი, რომ მსაჯი შეცდა და პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო“.

## ლევანდოვსკი: „ბარსელონას დიდი პოტენციალი აქვს“



ბარსელონის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას შეუძლია ტიტულებისთვის ბრძოლა, უბრალოდ, ამისათვის მეტი სტაბილურობაა საჭირო: „ჩვენ ბევრი შეხვედრა მოვიგეთ და მათში კარგად გამოჩნდა, რომ პოტენციალი გვაქვს, უბრალოდ, მისი გამოყენებაა საჭირო. იმედი მაქვს, დაშვებულ შეცდომებს არ გავიმეორებთ“.

## ბასილაშვილმა წაგებათა სერია შეწყვიტა



ცნობილ ქართველ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს წაგებების საკმაოდ ცუდი სერია ჰქონდა და მას შემდეგ, რაც სასამართლომ ოჯახურ ძალადობაში ბრალდებული ბასილაშვილი გაამართლა, შესაძლოა, ნიკამ ისევ დაიბრუნოს ძველი ფორმა. ამჟამად ბასილაშვილი პარიზის მასტერში მონაწილეობს და მან პირველ წრეში კვენტინ ჰალისი დაამარცხა 6:3, 6:4. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეს მისი პირველი გამარჯვება იყო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## სამეფო კობრა, სახელად გუდინი, ზოოპარკიდან გაიქცა



შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის სკანსენის ზოოპარკში ევაკუაცია განხორციელდა და დაიხურა იმის გამო, რომ ტერარიუმიდან სამეფო კობრა გაიქცა, სადაც ის თანამოძმესთან შესაჯვარებლად იყო მოთავსებული.

დამთვალიერებლების ევაკუაციის შემდეგ დაწესებულების თანამშრომლებმა ტერიტორია საგულდაგულოდ გაჩხრიკეს ქვეწარმავლის მოსაძებნად, რომელმაც ტერარიუმიდან განათების სისტემის საშუალებით დააღწია თავი. სამეფო კობრის ძებნა მეორე დღესაც გაგრძელდა.

ზოოპარკის მფლობელმა იონას ვოლსტრემმა განაცხადა, რომ ჩაკეტილი სივრციდან თავის დაღწევის უნარის გამო სამეფო კობრას გუდინი შეარქვეს. შავარაუდოდ, ქვეწარმავალი სადღაც შენობის კუნჭულში დაიმალა, ხალხმრავალი ადგილიდან მოშორებით.

ამ დროისთვის სტოკჰოლმში საკმაოდ ცივა იმისთვის, რომ კობრამ გარეთ არსებობა შეძლოს. ზოოპარკის თანამშრომლების თქმით, გუდინი ტერარიუმში მხოლოდ ერთი დღე იყო. აღსანიშნავია, რომ სამეფო კობრა მსოფლიოში ყველაზე მსხვილ შხამიან ქვეწარმავლად ითვლება. საშუალოდ მისი სიგრძე სამ-ოთხ მეტრს აღწევს, თუმცა ასევე ცნობილია ეგზემპლარები, რომელთა სიგრძე 5,7 მეტრს აღწევდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

**1 ნოემბრისათვის**



**ვერძი** — გაურკვევლობაში ხართ. იმპულსურობა და გარისკვა დღეს დაუშვებელია. ფინანსური ოპერაციები გადადეთ. **კურო** — მიუხედავად სირთულეებისა, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** — ნეგატიური დღეა. ნურავის ენდობით. მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის ალბათობა იზრდება. **კირჩხიბი** — დღეს მხოლოდ დაისვენეთ. მოსალოდნელია ახალი საინტერესო ნაცნობობა, რომელიც მომავალში დიდ მეგობრობაში გადაიზრდება. **ლომი** — დღის ნეგატიური ტენდენციები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზეც აისახება, თუმცა შექმნილი სიტუაციიდან თავის დაღწევას მაინც მოახერხებთ. **ქალწული** — გეგმების განხორციელებაში ხელი გეშლებათ. მიზეზი შესაძლოა ტრავმაც იყოს. **სასწორი** — დაისვენეთ, ისეირნეთ ფეხით, შეგიძლიათ მოაწესრიგოთ საქმიანი ქაღალდებიც. **მორიელი** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, მეგობრული და ინტიმური შეხვედრებისათვის. **მშვილდოსანი** — ახალი იდეების რეალიზებაში ხელი გეშლებათ. მატყუარა და არასაიმედო ადამიანებისაგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** — საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისას ნუ აჩქარდებით. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** — სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **თევზები** — შემოქმედებითი არეალის შესაცვლელად კარგი დღეა. გელით საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

— წარმოგიდგენია, მფრინავი თეფში არასდროს მინახავს.

— შენც ადექი და ცოლი მოიყვანე!

●●●

რუსს ეკითხებიან:

— რამდენი იქნება ათჯერ ასი გრამი?

— ლიტრი.

— ჰოო! მთელ მსოფლიოში ეს კილოგრამს ნიშნავს და მხოლოდ რუსეთში ნიშნავს ლიტრს.

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

— მე ორშვილიანი მარტოხელა დედა ვარ, მაგრამ ეს უფრო მაძლიერებს!

— და არ გინდა, რომ სამშვილიანი მარტოხელა დედა გახდე? წარმოიდგინე, კიდევ უფრო როგორი ძლიერი იქნები...

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

— თქვენი დამოკიდებულება ალკოჰოლის მიმართ, ერთი სიტყვით შეგიძლიათ?

— დავლევ!

●●●

პროფესორი სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტებს უსვამს შეკითხვას:

— მშენებლობაზე უფროსი ხართ. თქვენ თვალწინ მუშა ხარაჩოებიდან გადმოვარდა და დაიღუპა. როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში?

— გამოვიძახებ სასწრაფოს, — პასუხობს ერთი.

— გამოვიძახებ პოლიციას, — პასუხობს მეორე.

— შევატყობინებ დაღუპულის ნათესავებს, — პასუხობს მესამე.

პროფესორის პასუხი:

— დაღუპულს თავზე დაახურეთ ჩაფხუტი და დაზღვევის ქამარი გაუკეთეთ, თორემ პოლიცია თქვენთან მოვა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რეჟისორი გიორგი მეგრელიშვილი ემიგრაციაში წავიდა

რეჟისორი და მსახიობი გიორგი მეგრელიშვილი ათასობით ემიგრანტთა რიცხვს შეუერთდა.



ინფორმაცია „პა სეანსელმა“ ცუცა კაპანაძემ გაავრცელა:

— კიდევ ერთი უნიჭიერესი მსახიობი და რეჟისორი შეემატა ემიგრაციას — უსაყვარლესი მეგრელა. მაგრამ მწვანე ბარათით. წარმატებები, მეგრელ.

## ლელა მებურიშვილი „იმედზე“ ახალ რუბრიკას წაიყვანს



მსახიობი ლელა მებურიშვილი ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დილის შოუში“ მაყურებლის წინაშე ახალი რუბრიკით წარდგება.

ლელა ლონდონიდან ყველა მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენაზე გვესაუბრება. მისი სტუმრები იქნებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ხელოვანები და საინტერესო ადამიანები.

მსახიობის პირველი რუბრიკის ფოკუსში კი მოხვდა ლონდონის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი რეჟისორები და მსახიობები სტუმრობდნენ.

## დემნამ კაპიუშონიანი პალტო სოკოს ტყავისგან შექმნა



დიზაინერმა დემნამ მოდის მოყვარულებს კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა — სოკოს ტყავისგან კაპიუშონიანი პალტო შექმნა და გაყიდვაში ჩაუშვა.

ეს არის ბალენსიაგას ალტერნატიული ტყავის პირველი პროდუქტი. დემნამ განაცხადა, რომ უარს ამბობდა ნატურალური ტყავის გამოყენებაზე და ექსკლუზიურად ბალენსიაგასთვის სოკოს ტყავი შეიქმნა.

დემნას ახალი ნამუშევრის შეძენა მსურველებს მხოლოდ წინასწარ შერჩეულ ფიზიკურ მაღაზიებში შეუძლიათ, რომლებიც პეკინში, ბევერლი-ჰილზზე, ლონდონში, მილანში, ნიუ იორკში, პარიზში, შანხაიში, ტოკიოსა და ტორონტოში მდებარეობს.

ბალენსიაგას ინფორმაციით, მომავალში სოკოს ტყავის გამოყენებით ბრენდის სხვა პროდუქტებიც გამოვა.

## ლიზი გოგუა გერმანულ „ვოისს“ ნახევარფინალიდან გამოეთიშა



ქართველი მომღერალი ლიზი გოგუა გერმანულ მუსიკალურ შოუ „ვოისს“ ნახევარფინალიდან გამოეთიშა.

18 წლის კონკურსანტი ფინალისტებში ვერ მოხვდა, თუმცა ათასობით მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. შოუს ნახევარფინალზე გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ნათია თოდუაც იმყოფებოდა.

**ლიზი გოგუა:**

— ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ურთულესი და საპასუხისმგებლო 4 თვის განმავლობაში მხარს მიჭერდა და მეხმარებოდა, რომ ნახევარფინალამდე მივსულიყავი და ყველას, ვინც ერთი ხმა მაინც მომცა, ასევე უღრმესი მადლობა.

გერმანული „ვოისი“ იყო უდიდესი გამოცდილება და ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი. სულ სხვანაირი ვტოვებ პროექტს, მუსიკალურად გაზრდილი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მადლიერი და ბედნიერი.

სიტყვებით ძნელია ავხსნა, როგორ პროფესიონალურ და თბილ გარემოში მიწევდა მუშაობა და როგორი მიზნები და გეგმებია წინ.

მადლობა ჩემს მენტორსა და მთელ გუნდს! რაც ყველაზე მთავარია, შევიძინე ისეთი ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით იქნებიან.

მადლობა ჩემს ერთადერთსა და განუმეორებელ მეკო ქავთარაძეს! მეკოს გარეშე ახლა აქ არ ვიქნებოდი. ჩვენმა ონლაინ ყოველდღიურმა მეცადინეობამ შედეგი დადო! 15 წელია, შენ მზრდი და მადლიერი ვარ ყოველი წუთის, წამისა და შენი ენერგიის, რაც ჩემში ჩადე! ჩვენ უფრო მეტი, მაგარი გეგმები გვაქვს წინ და ამას მალე თქვენც გაიგებთ!

მადლობა ჩემს ოჯახსა და დედაჩემს ყოველთვის გვერდში ყოფნისა და იმისთვის, რომ ჩემი სულ სჯერათ!

## ირინა ონაშვილმა და მევლუდ მელაძემ ავტოსპორტის მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლები მოიპოვეს




ქართველმა ავტომრბოლელებმა ირინა ონაშვილმა და მევლუდ მელაძემ საფრანგეთის ქალაქ მარსელში, პოლ რიკარდის ფორმულა 1-ის ტრეკზე, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ გამართულ ავტოსპორტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს, მესამე ადგილზე გავიდნენ და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

მევლუდ მელაძემ და ირინა ონაშვილმა მონაწილეობა ავტოსლალომის სახეობაში მიიღეს. ეს ქართული ავტოსპორტის ისტორიაში უდიდესი წარმატებაა და ქართველი მრბოლელები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მედლების მფლობელები გახდნენ.

**ირინა ონაშვილი:**

— სიგიჟეა ის, რაც ვქენი და ეს ყველაფერი მევლუდ მელაძის დამსახურებაა. მადლობა ნდობისთვის. ყველას ძალიან დიდი მადლობა ამდენი მოლოცვისთვის. აგაფორიაქეთ. გპირდებით, მეტჯერ აღარ ვიზამ. ქალებო, გზა ხსნილია, ახლა თქვენ იცით, ბევრი ქალი ავტოსპორტში.

პ.ს. ის ქუსლიანი ფეხსაცმლის სტიკერი აღარ მიაკრათ მანქანას, გთხოვთ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი; 3. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 5. ძრავიანი ველოსიპედი; 9. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 11. კიბერნეტიკის ერთ-ერთი დარგი; 12. აკაკი წერეთლის ლექსი; 14. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 18. პორტატიული გეოდეზიური ხელსაწყო; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული ფიზიკაში.

**თარაზულად:** 4. კურორტი საფრანგეთში, სადაც გაიმართა პირველი ზამთრის ოლიმპიადა; 5. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 7. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 8. ნაკურთხი წყალი; 10. ჩინური ფინიკი; 13. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 15. ძველებური ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 16. მდინარე ციმბირში; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. იზოლირებული ელექტროსადენი; 21. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 22. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 23. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*